

ქართული
ენობრივი

საქართველო



შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილისა“



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

| | | |
|-------|--|----|
| I | რა დაგემართა! დაიქი მაგრა! სურათი | 2 |
| II | ახალი წელი, ლექსი ი. სისხრულაძის | 3 |
| III | გორგალა. პატარა ამბავი. ნინო გოგინაშვილისა | 4 |
| IV | სამართალმა გაიტანა. (ფრანგულით) ტასოსი | 8 |
| V | გამქრალი მოჩვენება. ეკ. გაბაშვილისა | 10 |
| VI | მგელ-კაცები, ინგლისური ზღაპარი. (გადმოკეთებული) აღ. ნათაძის | 15 |
| VII | რა ვნახე სამხეცოში. (გადმოკეთებული) გუდრაჭასი | 19 |
| VIII | წერილმანი: ანდაზები, გამოკანები, შარადა, მო- სწრებული პასუხები და ახსნა | 26 |
| <hr/> | | |
| IX | ზამთარი, ლექსი. ვ. რუსაძის | 28 |
| X | ტელეგრამა, ახალი ტელეგრამა! ან. წერეთლისა | 29 |
| XI | აღიღო სოფლის სურათი, ლექსი. ი. სისხრულაძის | 36 |
| XII | გაიფიცა, ჯეკ ლონდონისა. თარგმანი. გ. ლ—ძისა (შემდეგი იქნება) | 38 |
| XIII | ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი პოეზია (შემდეგი იქნება) დათაგო. იაშვილისა | 51 |
| XIV | მორიელის უცნაური ჩვეულება. იტასი | 64 |

მიიღება ხელის მოწერა

ჯეჯილისა


1916 წლისა.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს, რომელნიც თვე
ნახევრის განმავლობაში არ მიიღებს ჟურნალს, მაშინვე აცნო-
ბოს რედაქციას.

3.17.

156.

156.



საქმავილო ნახატებიანი

ქუჩნალი

იზარდუ მწვანე ჯუჯილო,
დაპურიდი, ფახდი ყანაო.
ი. დ.



156.

იანვარი, 1916 წ.

◆ წელიწადი მეოცდაშვიდი ◆



თ ბ ი ღ ი ს ი

ელექტრომბეჭდავი „შრომა“, მუხრანის ქ. № 12.

1916



ქართული
ბიბლიოთეკა



რა დაგემართა! დაიჭი მარა!



ახალი წელი.

(ძღვანთ ბავშვებს)



ხალ წელიწადს გილოცავთ,
 მერცხლებო გაზაფხულისა,
 გისურვებთ არ დაგკარგოდეთ,
 ეგ სისხლისე სულისა;
 — მზიურ ღიმილით გიკრთოდეთ
 უღრუბლო მკვირცხლი თვალები,
 აგცდეთ ცხოვრების ვაება,
 — სევდა-უარაპის ბრჭყალები,
 ჯერ გაიფურჩქნეთ უმწიკვლოთ,

მეობადი თქვენზე ჰკიდიან,
 თქვენ უნდა გახდეთ, ხორჩებო,
 „ახალ ცხოვრების“ სიდიან,
 და ტანჯულ-ჩაკრულ ჩვენ მხარეს
 წელულზე დაედოთ ძალაძოთ,
 მიტომ მიუვარსართ, გვრიტებო,
 შიტომ მსურს მოგესალამოთ!!!
 სხვა რა გისურვოთ, რომ დაძრჩეთ
 კმაყოფილ-ნასიამები:
 შინ დაგებრუნდეთ მშვიდობით,
 ომიდან მშები, მამები!!!

ი. სიხარულიძე.



გორგალა



ემს ბავშობაში, როდესაც მე ისეთი ჰატარა ვიყავ, როგორც შენ, ჩემო ძვირფასო ძვირფასო... იცი რადა ხარ შენ ჩემთვის ძვირფასი? შიშობ რომ შენში და შენისთანებშია მოძავალი ჩვენი საუკარელი სამშობლონი.. ჰო და მეც რომ ჰატარა ვიყავი, მუხობლიანთ საბედომ ძაღლის ლეკვი მახუჭა. ლეკვი ძაღრა ჩავიკარ გულში და შინისკენ თქარათქურით მოვუსვდი. ძაღრამ ის შენ ძტერს, ჩემო ჰატარავ, რაც დღე მე დაძაუარეს სახლში.

— რად გინდა ლეკვი, ახლა ეგ განხადე სათაბაღს და მოსავლედი,--და ძრავალი სხვა.

ნამეტნავათ როცა ვაიგეს რო ლეკვი ძე იყო, უფრო აღარ მომასვენეს.

— წაუყვანე საბედი, რათ გინდა, ახლა ძაღის ლეკვებით ააუსე სახლი.

— რა დროს ამის ლეკვებია მეთქი, მოვრთე დრიალი, ისე გამოვაყრეუ ეველანი ტირილით, რომ ძაღს უნებურათ დამრთეს ნება ლეკვი შინ დაძეტოვებინა. „გორგალა“ დავარქვი, რადგან სწორეთ კვირტის გორგალს მოვაგონებდა, ჩემო ჰატარავ,

ისეთივე თეთრი, ძრგვალი და რბილი იყო. რეულოს გვერდზე კუთხეში ბინა გაუკეთე „გორგალას“ და ჩემი ზრუნვა-პატრონობით ერთი წლის ძაღლათ ვაქციე. სწორეთ წლისამ სამი ლეკვი გააჩინა. ლეკვები რო წაძოიხარდენ ჩვენ სახლი გამოვიცვალეთ. ძველმა სახლის პატრონმა დიდა სეკუნის შეძგე, ერთი ლეკვი გამოძისოვა. არ შეძგე-ბოდა, მაგრამ სათრი ვეღარ გაუტყვე, რადგანაც ლეკვების აღზრდაში და მათ დედის კვებაში სძირათ შეძგელებოდა ნასუფრალით. გორგალა ორი ლეკვით ახალ სახლში გადავიყვანე და იქაც საკუთარი ბინა გაუჩინე. ყოველ დღით, ჩავიცვამდი თუ არა ტანთ, გორგალას დავსედავდი, თუ საღამოს გადაჩენილი ჰური მქონდა სო რა კარგი, თუ არა და კიდობსიდან დავითრევიდი ან პირის ჰურს ან კიდევ კუტს. კარგ შოთს ვერ ვაგებედავდი, რადგან ვაჯახურებისა შეძინოდა. პირველ დილას რო ვაგედი გორგალას დასახედათ მის ბუნავთან, გორგალა იქ არ დამიხვდა. ლეკვები კი აქეთ-იქით დაცუცუნებდენ და წეშტუნით რაღაცას შეძომიოდენ. სად იყო გორგალა? კარგა ხანს ვუცადე. ჩაის დასალევავთ დამიძახეს. რო დავბრუნდი გორგალა კვლავ არსად იყო. პატარა ხანს უკან მოვიდა და ლეკვებს ალერსით დაულოკა თვალები. ნეტა სად უნდა ყოფილიყო? ის ძალიან მინდოდა გამეგო, რადგანაც გორგალამ არ იცოდა შეილების დალატი ვიდრე ფესზე არ დააყენებდა მათ. სადილ შეძგე ჩემი ლეკვის სახახავათ წავედი ძველ სახლის პატრონთან, რომელიც მხიარულათ დამიხვ-

და და მხსნარა, დღეს გორგალა აქ იყო და თავის ლეკვს ძუძუ მოაწოვაო. ასე იქცეოდა გორგალა, ვიდრე ლეკვებმა ძუძუს წოვას თავი არ დაანებეს. მეორე წელიწადს გორგალას სუთი ლეკვი გაუჩნდა. ეს ძრეულ არ იამათ ჩვენებს. უბრძანეს მოსამსახურე ბიჭს არსენას სუთივე ლეკვი გადაეყარა შორს ერუხეჴში,*) საძი ვერსის სიმორეზე, რათა გორგალას ვერ მიეგნო თავისი ლეკვები და უკანვე არ მოეზიდნა. დილა აღრიან, როდესაც მე ჯერ კიდევ მეძინა, არსენას ჩაესხა ლეკვები კალათაში და წაეყვანა, გორგალა კი წინათვე თოკით დაება, არ გამომიდგეს და უკანვე არ მოიყვანოს ლეკვებიო. გამოვედი თუ არა გორგალას ოჯახობის დასახედათ, ელდა შეცა! გორგალა თოკით მიბმული იბრძოდა და ლეკვები კი არსად სჩანდენ. როდის—როდის დაბრუნდა არსენა და გამიძულანა თავის მტარჯალობა.

— სჯალ დილაძდე არ აუძვა გორგალაო, უბრძანეს არსენას.

ბევრს ვეცადე ჩუმათ ამეშვა გორგალა, მაგრამ ამაოდ. მეორე დღეს, გათენდა თუ არა, გამოვედი გარეთ და აი რა დავინახე. ჩემო ზატარაჴ, ვერ აგიწერ ჩემ სინარულს, გორგალას ლეკვი ჰირით მოჴუვდა, მიეგნო ლეკვები და ეტეობოდა სათითაოთ გადმოზიდვა განეხრახა. დასვა ლეკვი, გადაუსვა ალერსით თავზე ენა და მოჴკურცხლა. ესლა კი ხელს ველარავინ ახლებდა ლეკვს, აღარ ვშორდებოდი. ათი

*) ყრუ ხევი კურდღელაურშია. (კახეთში)



სახათი იქნებოდა, როდესაც გორგალამ მეორე ლეკვი ამოიუყანა, დასვა, გადაულოკა თავი და ისევ მოჭკურცხლა. თორმეტ საათზე შესამე ლეკვი ამოიუყანა, იმასაც გადაულოკა თავი, შემომხედა მადლობით სავსე თვალებით, რომ თავის თანამოაზრეს მხედავდა და კვლავ გაეჩინა. სადილისათვის რო დამიძახეს, მეოთხე ლეკვი ამოიუყანა გორგალამ, კვლავინდებურათ გადუკოცნა თავი ლეკვს და გაიქცა. რა შემოიუყანდა სადილის საჭმელათ. არც შევედი. დიდხანს უცბადე გორგალას, ამოიუყანს უკანასკნელ ლეკვს და ახლა თითონ მოუყლის თავის შვილებს მეთქი, მაგრამ გორგალა არსად იყო.

— აღარ შემოხვალ სადილის საჭმელათ!

გამომძასა მკაცრი ხმით ზამამ:

— როდემდის უნდა ეგდო მანდ?

ლეკვებს თავი დავანებე, საჩქაროთ შევჭამე სადილი და ისევ ლეკვებს მიუბრუნდი.

გორგალა არსად სჩანდა.

მეორე დღეს არსენას ენახა შუა გზაში მკვდარი გორგალა, იქვე კვერდით მესუთე ლეკვი თურმე ბობლავდა და მკვდარ დედის მუძუს ეძებდა. ბევრი ვიტირე მაშინ, ესლაც რო მომაგონდება გორგალას თავგანწირული სიკვდილი შვილების საბედნიეროთ, ჟრუნტელი მივლის ტანში. ასე გპირულათ გასწირა თავი, ჩემო პატარავ, გორგალამ შვილებისათვის.

ნინო გოგნიაშვილი.





სამართალმა გაიტანა.



რთ უძწეო დედა
ბერს ჰქონდა პა-
ტარა მინდორად-
კილი ერთ მდიდარ
ხალიფის მეზობ-
ლათ. ამ მდიდარ-
მა ხალიფმა განი-

ძრასა მის ადგილსე სახლის აშენება. მოინდომა ად-
გილის უიდვა, შეაძლია ფული, მაგრამ დედაბერი
გაუჭიუტდა, ვერ უნდოდა ადგილის მიუიდვა. მამა-
პაპეულია და ვერ შეველევიო.

ხალიფი უარის თქმას ჩვეული არ იყო და მა-
ღით ააშენა ამ ადგილსე სახლი.

გამწარებელი დედაბერი წავიდა ქალაქში მსა-
ჯულთან საჩივლელებთ, გადმოუღაბა თავისი ნაღვე-
ლი და საშველს სთხოვდა. მსაჯულის აზრით რაც
უნდა ძალოვანი და დიდი კაცნი იყოს, მას არა აქვს
ნება დაჩაგროს უსამართლოთ ღარიბი, ამიტომ მან
განიძრასა მოეკონებინა ხალიფისთვის სამართლია-
ნობა.

ერთსელ ხალიფი ქეიფობდა იმ კონტა სახლში,
რომელიც აშენებული იყო უძწეო დედაბერის ადგილ-
სე. უცბათ კარს მოადგა მსაჯული სახედარსე მჯდო-



ში, რომელსაც ხელში ეჭირა ზატარა ცარიელი ტო-
მარა. გაცეხულმა ხალიფმა ჰკითხა მოსვლის მი-
ზეზი.

— მომეცი ნება, ჩემო სამართლიანო მეფეე, აი
ეს ტომარა ავამსო იმ მიწით, რომელიც თქვენ ფესთ
არის.

ხალიფი სიამოვნებით დათანხმდა. მსაჯულმა ააუ-
სო ტომარა მიწით, მერე მიუბრუნდა ხალიფს და
სთხოვა:— ჩემო ხელმწიფეე, მ ძველე და სასეღარს
აჰკიდე ეს ტომარა. ხალიფს გაუკვირდა ამისთანა
თავსეღობა, მაინც უარი არ უთხრა. ტომარას მია-
ღო თუ არა ხელი სიცილით უკან დაიწია, ტვირთი
ძალიან მძიმე აღმოჩნდა.

— ჩემო სამართლიანო მეფეე, თუ ეს ერთი მუჭა
მიწა იმ ადგილისა, რომელიც შენ წაართვი უძვეო
დედაბერს ასე მძიმეა, მამ მთელი იმ ადგილის მი-
წა, იმ ადგილის ცოდვა რა სიმძიმისა იქნება და
როგორ უნდა წარუდგე ამ დიდი ცოდვითი ღვთის
სამართლის წინაშე.

ხალიფი შეკრთა, იგრძნო უსამართლობა. გადა-
ესვია მსაჯულს და ძაღლობა უთხრა ამ ჩაგონების-
თვის. დედაბერს მაშინვე დაუბრუნა არა თუ მიწა,
სახლიც და ისიც, რაც შიგ სიმდიდრე მოიპოვებოდა.

ფრანგულათ.

ტასო.





გამქრალი მოჩვენება.



ემოდგომასედ რვა წლის ელო
დედ-მამამ გორში ჩამოიყვანეს
სოფლიდან და ერთ რუს მო-
ხელეს ოჯახში მიაბარეს ინს-
ტიტუტისთვის მოსამზადებლათ,
თითონ კი ორი დღის შემდეგ
ისევე სოფელში დაბრუნდნენ.

ბევრი იტირხ და ივანგლა-
ხა ჰატარამ უცხო სახლში დარ-
ჩენილმა, რამდენიმე დღე ჰუ-
რის ჭამასედაც კი ხელი აი-
ღო, მაგრამ დრომ თავისიგაი-
ტანა და ის ნელ-ნელა ენის

შესწავლასთან ერთად თავის ასალ გარემოებასაც შეუ-
რიგდა. მართალია, სძირად კიდევ მიჯდებოდა სოლ-
მე ბნელ კუთხეში და მღუღარებას აზნეუდა თავის
ოჯახის მოგონებასედა, მაგრამ აღარც ჭამასედა და
აღარც ამხანაგებთან ცელქობასედა უარს არ ამბობ-
და. სწავლასაც უფრო და უფრო უბეჯითებდა, რომ
დედ-მამა გაესარებინა.

ამასობაში შობის დღესასწაულებიც მოახლოვდა

და ამხანაგებთან ერთად ელოც სოფელში წასვლის
ოცნებას მიეკა.

იმ წელს საშინელი სამთარი დადგა, თოვლის
ზვინებით სავსე იყო ჰატარა ქალაქის ვიწრო ქუჩები
და საღამოსაღამოობით ისეთ ეინვეებს იჭერდა, რომ
კარძი გამოსვლას ვერაფრანა ჰბედავდა. დედამიწა რკი-
ნასავით იყო გამაგრებული და სახლის სასურავუ-
ბიდან თითო ადლის სიგრძე ეინულის ლოლუები
იყო ჩამოკიდებული.

შობის ორი დღის წინეთ ელოს სოფლიდან
კაცი ჩამოვიდა, იმის მასწავლებლებს კარგი ძღვენი
ჩამოუტანა, ელოს ლამაზი და გემრიელი ნაზუქის
კვერები, ძრავალი ხილი, ჩურჩხელა, ჩამიჩი და თან
დედის ბარათი, რომლითაც ის ატეობინებდა ჰატა-
რას, რომ დიდი სიცვიების გამო ვერ წაიფხანდენ
სოფელში. „ისეთი საშინელი თოვლი სდევს კზებ-
ზედ, რომ ვშიშობთ ვაი თუ ამ სვიმონამაც გზა ვერ
გაიგნოს და შენ ისევ ჩვენ მოლოდინში დაკებრი-
ცოს თვალები. ეოჩაღათ იუაუ, გენაცვალოს დედის
თვალები! გარწმუნებ ამ უდიერ სამთარძი ქალაქი
სჯობიან სოფელს და სააღდგომოთ კი, სააღდგო-
მოთ სიხარულით ჩაგეკრავ ძუძუებში!..“

ბინდბუნდი იყო. ელო სამასწავლო ოთახში
ძარტოთ ძარტო იჯდა და დედის ბარათს ძუათედ
კითხულობდა და თან ცრემლი ცრემლზედ ნაკაღათ
სდიოდა. ჰატარა გული სევდით ჰქონდა სავსე და
არავითარ ეურბდებებს არ აქცევდა მასწავლებლიანთ-
ოჯახში რა ამბები ხდებოდა. აქ ეი დიდი სამხადისი



იყო. სებაგდენ და სწმენდავდენ ოთასებს, ახალ-ახალ ტანისამოსს იკურავდენ, სანოვაგეს სწავდენ, ხარშავდენ, დიდროს-დიდრონი ქალღღის ჰარკებით ტკბილეულობას ესტუმბდენ და დიდ ფაცი-ფუსცი იყვნენ.

უცებ, მასწავლებლას ჰატარა შვილი მიძუტვა შემოიჭრა ოთასში და ელოს სელი წავულო.

— ადუ, ადუ! წამოდი რა გიჩვენო! სინარულით ეუბნებოდა ბავშვი და თან რაც ძალი და ღონე ჰქონდა აწეგოდა მწუხარებით ორთა მოკუნტულ გოგონას.

— წამოდი, წამოდი რა გიჩვენო, რა გიჩვენო, და თან ფენის აგრეფით და სიფრთხილით მიჰყავდა ბნელ ოთასებში.

ძვერე უცებ გააღო სასტუმრო ოთახის მიკეტილი კარი და გაოცებულ ელოს თვალ წინ წარმოუდგა რაღაც სასლანარო და დაუჯერებელი სურათი: ოღნავ განათებულ ოთახში უძველებელი ნამვის სეიდვა მთლად ვერცხლის და ოქროს ვარაყით შებურღვნილი. ოქროს და ვერცხლის ძაფებით დაქსოლილ ტოტებზედ ჰატარა კალათები, გალიები, თევზები, ფრინველები, ჰირუტეკები წითელის ძაფით დაკიდულნი ციმციმებდენ. აუარებელი დაკარაუებული კაკალი და ვაშლი ლამაზად ჰინწიანებდენ მათ შორის. მაგრამ განსაკუთრებულათ ელოს ეურადღება მიიპყრო სამმა მშვენიერმა ფრინველმა, რომელნიც ხის სამ სსვა და სსვა გვერდზედ თითქოს დაფრინავდენ და თავიანთ ოქროს ფრთებს აბარტყუნებდნენ...



გამქრალი მოჩვენება.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! გულზედ სე-
ლებ შიღებით და თვალებ კაჭკეტილმა წამოიძახა
ელომ, ნეტა თუ ამისთანა სე რომელ ქვეყანაში იშო-
ვება... იხრდება და ეს ფრინველებიც ასე თავს და-
სტრიალებენ!

— მოგეწონა? კარგია?! ეშმაკურის ღიმილით
ეკითხებოდა მიშუტკა ამხანაგს და თან უხსნიდა, თუ
რა გასაკვირდება იქნება სვალ, როდესაც ამ სეზედ-
ვე ხანთებენ იმ წითელ-ვეითელ სანთლებს, რომელ-
ნიც ათასობით არიან სის ტოტებსე დარჭობილი.

— გინდა ორიოდე ესლავე ავანთო და გიჩვე-
ნო, თუ სუეველაფერი სანთლების შუქზედ როგორ
ბჭევრიალებენ?

— სელი, სელი არ ახლო, სელი არ ახლო!
შეჭევირა ელომ კანკალით, სელი არ ახლო თორემ
გაქრება, გაქრება, სე უჩინარი გახდება! და ძალზედ
ებლაუჭებოდა გაგულადეჟულ მიშუტკას, რომ იძახა მი-
კარებით ეს სასლანარო მოჩვენება არ გაქარწულებუ-
ლიყო, რადგან ბევრჯელ ჭქონდა გაგონილი ზღაპ-
რები იმის შესახებ, რომ მოჩვენებას თუ სელი შეა-
სე, ის მაძინეუ უჩინარი შეიქნებაო.

— რას ამბობ, ქალო, როგორ თუ გაჭქრება?
უჩინარი გახდება! ვერა სედავ, რომ ეს სამდვილი
ნამუცის სეა და შედ რაც ჭკიდია სულ ჩუენი ჩამო-
კიდებულია? „იოლკა“ „იოლკა“ შობის სე! მამ
ქენ არც კი ვაგიგონია, რა არის შობის სე? გინდა
ესლავე მოგიწვიტო აი ევითელი ჩიტი რო ფრი-
ნავს, რეხინით რომ ჭკიდია.



— არა, არა! ხელი არ ახლო, ხელი არ ახლო! კვლავ ვაოცებით შეჭურვებდა ელო საოცნებო სურათს და მიძას ხელს უჭერდა.

მიძო კი მასხარათ იგდებდა ტინგიც სოფელს და თავისის მეცნიერებით ვითომ აკვირვებდა და მეტიჩარობდა. ის საჩქაროთ შესტა ჰატარა ფეხის დასადგმელ ოთხფეხა სკამზედ და ერთერთ მფრინავ თქროს ფრთებიან ჩიტს წაავლო ხელი ჩამოსაკლევხათ. მხგრამ ჩიტი მაგარი რეზინით აღმოჩნდა სესედე მიძბული და არა წუდებოდა. მიძუტკამ უფრო ვაბედულათ მოსწია, მოსწია და ხე ვადმოიხნიქა, გვერდ-გვერდ წამოვიდა უცებ გრიალი მოილო და თან ვადიტანა მიძუტკაც სკამიანათ და ოთახში ერთად ერთი მხეუტავი სანთელიც ჩააქრო.

ელომ საშინლათ შესწივლა და სუვეელაფერი სიბნელემ მოიცვა.

სასადილო ოთახში სამოვრის გარშემო შემომსვლარმა ოჯახმა, მსოლოდ ახლა მიანჭრო ეურადღება, რომ ელო და მიძუტკა აქ არ იუზენ და გულ ვახეთილები შეცვივდენ სასტუმროში და ის თქვენმა მტერმა ნახოს რაც იქ სანახავი იხილეს:

რამდენიმე დღის ნახაგევი და ნაშრომი მორთული ხე მთლათ დამსხვრეული ვგდო მირს და მას ქვემ გულ შემოაწრილი ელო და შიშით და სირცხვილით გატვრინებული მიძუტკა, რომელაც ნამვის სისკვლებით დაფსაწნილ ცხვირ-პირიდან ორ ტოტათ სისხლის ნაკადულები სდიოდა.



მ გ ე ლ - კ ა ც ე ზ ი.

ინგლისური ზღაპარი.



ცხოვრობდა ტუეში ერთი ბერი-
კაცი თავისი ცოლითა. ზმათ ერთი
ქალიშვილი ჰქვავდა და ერთი ფი-
ნია. ფინიას „ბურთიკას“ ეძახოდ-
ნენ, რადგანაც ბურთივით ჩაძრგ-
ვალეებული იყო. იგი სულ მუდამ
შინ იყო და სახლს უღარაჯებდა.

ერთსელ ბებრების ქოხს ეწვივნენ მკელ-კაცები
და შეძერეს:

„შეუსტეთ და შეუსტეთ, დაუეწოთ თვალები,
შეეჭამოთ და შეეჭამოთ ჩვენი ბებრუცანები“.

გაიგონა ეს ბურთიკამ და შეუეფა. მკელ-კაცებს
შეეშინდათ და მოცხრილეს იქიდან. ძაღლის ეუ-
ფაზედ ბებრებს გამოეღვიძათ და ბერიკაცმა სთქვა:
რა არის, რომ ბურთიკა ასე ძილს გვიფრთხობს, თუ
ვიცოცხლე დილაძდის, მე მას კუდს მოეჭრი. ბერი-
კაცი შეორე დღეს ძაღლიან ადრე ადგა და ბურთიკას
კუდი მოსჭრა.

შეორე ღამესაც მოვიდნენ იგივე მკელ-კაცები და
შეძერეს:



„შეუსტეთ და შეუსტეთ, დაუეწოთ თვალები,
 შევჭამოთ და შევჭამოთ ჩვენი ბებრუცანები“.

ბურთიკამ ეეფა დაუწუო, მკელ-კაცებს შეეშინდათ
 და მოცხრილეს იქიდან.

ბერიკაცს ახლაც გამოეღვიძა ბურთიკას სმაზედ
 და სთქვა: „არ გვამლევს მოსვენებას ჩვენი ბურთი-
 კა და თუ დილაშდის ვიცოცხლე ერთს უკანა ფესს
 მოვჭრი.“

ადგა ბერიკაცი სისხამ დილაზედ და საცოდავ
 ბურთიკას უკანა ფესი მოსჭრა.

მესამე ღამესაც მივიდნენ იგივე მკელ-კაცები და
 შემღერეს:

„შეუსტეთ და შეუსტეთ, დაუეწოთ თვალები,
 შევჭამოთ და შევჭამოთ ჩვენი ბებრუცანები“.

ბურთიკამ კიდევ შეჭეუა და მკელ-კაცები გან-
 დევნა იქიდან.

ბურთიკას ეეფაზედ გამოეღვიძა ისევ ბერიკაცსა
 და სთქვა: „არ გვამლევს კიდევ მოსვენებას ჩვენი ბურ-
 თიკა და თუ დილაშდის ვიცოცხლე მეორე უკანა
 ფესსაც მოვჭრი. ადგა ბებერი და მოსჭრა ბურთი-
 კას მეორე ფესიც.“

რომ დაღამდა მოვიდნენ ისევ ის მკელ-კაცები
 და შემღერეს:

„შეუსტეთ და შეუსტეთ, დაუეწოთ თვალები,
 შევჭამოთ და შევჭამოთ ჩვენი ბებრუცანები“.

შეჭეუა ბურთიკამ ამათ და კიდევ გადევნა იგი-
 ნი. ეეფაზედ ბერიკაცს გამოეღვიძა და სთქვა: ბურ-
 თიკა არ გვამლევს მოსვენებას და თუ დილაშდის

ვიცოცსლებ ერთს წინა ფეხს მოვჭრი. ადგა ბებერი დილა ადრიანათ და თავისი განძრანვა სისრულეში მოიყვანა: ბურთიკას ერთი წინა ფეხი მოსჭრა.

მკელ-კაცები ღამე ისევ მოვიდნენ და შემდეგ რეს:

„შეუსტეთ და შეუსტეთ, დაუეწოთ თვალები, შევჭამოთ და შევჭამოთ ჩვენი ბებრუცანები“.

გულ-მოსულმა ბურთიკამ უფრო მრისხანეთ შეჭეუეუა ამათ და განდევნა იქიღვან.

გამოიღვიძა ბერაკაცმა და სთქვა: არ იქნა და არა, ვერ მოვარჯულებ ბურთიკა, თავისი ეუფითმილს მიფთხობს და მთელი ღამე არ გვანჯერებსო, თუ დილაძდის ავასწიე, მოვსჭრი მეორე წინა ფეხსაც და მაშინაც არ განუძღებო? დილა ადრიანათ ადგა და მოსჭრა ს-ცოდავ ბურთიკას უკანასკნელი ფეხიც.

მკელ-კაცები ღამე ისევ მოვიდნენ და შემოსძახეს:

„შეუსტეთ და შეუსტეთ, დაუეწოთ თვალები, შევჭამოთ და შევჭამოთ ჩვენი ბებრუცანები“.

ბურთიკამ კიდევ ეუფა და წმუკუნის ასტეხა. შემინდნენ მკელ-კაცები და გაიქცნენ. გამოეღვიძა ბერაკაცმა და სთქვა: კიდევ არ გვანჯერებს ეს ბურთიკა— მილს გვიფთხობს და თუ დილაძდის ვიცოცსლებ, მაგ მოუსვენარს თავსაც მოვჭრიო. ადგა დილა ადრიანათ და მოსჭრა ბურთიკას თავიც.

დაღამდა თუ არა, მაშინათვე განდენ ქოსთან მკელ-კაცები და შესძახეს:

„შეუსტეთ და შეუსტეთ, დაუეწოთ თვალები,

შევეჭამოთ და შევეჭამოთ ჩვენი ბებრუცანები“.

ბურთიკას სმა აღარ მოესმათ. შევიდნენ ქოსში და შეჭამეს ბებრები. ქალიშვილი კი ტომარაში ჩასვეს და მოძორდნენ იმ არე-ძარკეს.

წაიუვანეს გოგო თავიანთ ბინაზედ და ტომრიანათ სარდაფში ჩააგდეს. დაღამდებოდა თუ არა, მკელკაცები თითო-თითოთ მივიდოდნენ ქალთან, გასწინდნენ ტომარას, თითო-თითოთ ჩაუყბათუნებდნენ თავში და ეუბნებოდნენ:

შემომხედე, შემომხედე, თინაო,

ვერსად წახვალ, ვერ დაგისწინის ფინაო!

ერთს ღამეს ისე ძალიან ჩაუმუჯღუგუნეს, რომ გოგომ ტკივილები საგან ვეირილი და ტირილი ძორთო.

გაიგონა ერთმა იქ ახლო შეოფმა მონადირემ ეს წივილ-კივილი; გოგო ტომრიდგან ამოიუვანა და მის მკვივრათ ტომარაში ძაღლი ჩასვა და თვითონ იქვე ახლო მიიძალა.

დაღამდა თუ არა, ჩავიდნენ ეველანი ერთათ სარდაფში და ჩასძახეს:

შემომხედე, შემომხედე, თინაო,

ვერსად წახვალ, ვერ გიძველის ფინაო!

ტომრიდგან ამოსტა ძაღლი და სათითაოთ ეველანი გაგლიჯა.

მას აქეთია მკელ-კაცები აღამიანს აღარ ეკარებინან.

(გადმოკეთებული).

აღ. ნათაძე.



რა ვნახე სამხეცოში.



სე 10 წლისა ვიქნებოდი, რომ ჩვენ ქალაქში მოვიდა ერთი გა-
მოჩენილი მსეცების გამწვრთნელი
კაცი ლისტი, თავისი გაწვრთნილი მსეცებით. ლი-
სტი თითქმის უოველ დღე მართავდა წარმოდგენას
და საოცრათ გამწვრთნილ მსეცებს უჩვენებდა. სუ-
ლი მელეოდა სანამ ამისთანა წარმოდგენასე მეც
წამიუვანდენ. რაც მე იქ ვნახე ჩემ დღეში არ დამა-
ვიწყებდა. სულ ჟრუანტელმა დამიარა ტანში და კი-
ნაღამ უკან მოვკურცსლე, როდესაც ვეებერთელა
ჩკინის კალიებში ცოცხალი ლომები, ვეფსები,
ლეონარდი და დათვები დავინახე. კალიები მწკრი-
ვით იყო ჩაუოლებული. შუა კალია უვალსე დიდი
იყო და ცარიელი. ამ ცარიელი კალიის წინ მხუ-
რებლები დაგვსეს. მე მოუთმენლათ და ცოტა არ
იეოს შიშით ამ ცარიელ კალიას მივჩერებოდი. მსა-
სურებმა შიგ ორი ზრტეულ საფესურებიანი კიბე შე-
მოიტანეს და შუაში დასდგეს, წინ საში დაბალი ტა-
ბურეტკა დაუდგეს. რამდენიმე წუთის შემდეგ კალია-
ში თითონ ლისტიც შემოვიდა. იგი უმაწვილი და

ღამასი მესეღულობისა იყო. გული სულ სავსე
 ჭქინდა ნიძნებით მიღებული სსვა და სსვა დაწესე-
 ბულებებისგან და პირებისგან. სელში მათრასი ეჭი-
 რა. უცბათ მათრასი დაატლამუნა და დაიკვირა:

— აქეთ!

აქეთ-იქით გალიებიდან სმაურობა და მოძრაობა მო-
 ისმა—უველა მხეცები ცარიელ გალიისკენ გამოეშურენ.
 ლომები შედიდურათ შემოვიდენ, თან მოჭკვენ ვეფსები,
 ლეოპარდი დათვები და ბოლოს ორი ძაღლი ეუფით
 შემოვარდა და პატრონს ლაქუცი დაუწვეს.

— დაღადით თქვენ ალაგას!

დაუვირა სელ-ანლათ უფროსმა და მათრასი
 დაატლამუნა. იანონის თეთრ გულა დათვი კუ-
 მა სანტათ გაემართა კიბისკენ, სულ ძაღლა ავიდა
 და სევით დასკუპდა. აქეთ იქით, ქვეითა საფესურსე,
 ლეოპარდი და ვეფსი წამოჯდენ, იმათსე ქვეით ლომები
 და ვეფსები მოთავსდენ. იმათ წინ შუა ტაბურეტ-
 კასე ჩრდილოეთის თეთრი დათვი დაჯდა და აქეთ
 იქით ძაღლები მოუსკუპდენ. ეველას ძაღლიან მოკვე-
 წონა ეს სურათი და აღტაცებით ტაში დაუკარით.

— დაიძაღენით!

დაივირა უფროსმა და ეველა მხეცები ერთ წამს
 დაიძაღენ. გამწვრთნელის შორი ახლოს გაიფან-
 ტენ.

— აქეთ მობრძანდით, ბატონო დათვო, მიუბ-
 რუნდა ლისტი კუმას. კუმა უკანა ფესებზე დადგა და
 ისე მივიდა უფროსთან.

ლისტი მერე ჩვენ მოკვიბრუნდა.

— ბატონებო, გთხოვთ გაიცნოთ ჩემი შეგობა რი, ბატონი დათვი ძღაგუნამე!

კუძამ დაბლა თავი დაგვიკრბ მერე გამწვრთნელს ხელი გადასვია და დაიწყო მასთან სერობა.

— აბა ერთი ჩემი მათრახი მომიძებნე! უთხრა ლისტმა.

კუძამ ისევ უკანა ფეხებზე ბაჯბაჯით დაიწყო მათრახის ძებნა. იპოვნა, პირით აცლო და უყროსს ისე მიუტანა.

— ეხლა, ბატონო დათვო, ვეფს ფრიცს და მიძახე.

დათვი ერთ ერთ ვეფსს მიუახლოვდა და თავი დაჭკრა. ვეფსმა კუძას დაუღრინა და გამწვრთნელისაკენ გასწია. ლისტი ამ ვეფსს გადააჯდა და უურებს ჩასჭიდა. ვეფსმა ამხედაც კბილები იხჭინა, მაგრამ მინც თავისი უფროსი გალიაში ასე შემოატარა, როდესაც ძირს ჩამოვიდა ვეფსმა წინა თათები მხრებზე დაადო მას და საძინლათ დაიღრინა.

— გაჩუმი! უბრძანა ლისტმა და ვეფსის გაღებულ პირს ხელი დააფარა.

ჩვენ ვეკლას შეგვეშინდა, ზოგი ადგილიდან წამოხტა, ლისტმა კი გაღებული პირი დაუკუმა და უბრძანა თავის ალაგას წასულიყო. ვეფსი უცბათ დაწუნარდა და ხელხელა თავის ალაგისკენ გაემართა.

გამწვრთნელმა ლისტმა მუაში აჭრელებული მაღალი დასაჯდომი გამართა, მეორე ვეფსს დაუძახა



და ზედ დაჯდომა უბრძანა.

— ბატონო დათვო, ერთი კრკალი მომიტანე.

კუძამ კრკალს ძებნა დაუწყო. ძაღლებმა რომ „კრკალი“ გაიგონეს, იმათაც ძებნა დაიწვეს და დათვ-ზე ადრე იპოვნეს. დათვი მივარდა მათ, ერთი ორჯელ სილა გაჭკრა, კრკალი გამოგლიჯა და თავიანთ უფროსს მიუტანა. ძალიან სასაცილო იყო და ეველამ ბევრი ვიცინეთ.

ლისტმა კრკალი ძაღლა ასწია—ვეფხვი უკანა ფეხებზე წამოდგა.

— გასტი! დაუევირა ლისტმა.

ვეფხვმა ისკუზა და კრკალში გასტა, რამდენჯერმე ასე გაიმეორა ძაღლები თითქოს შურის თვალით უუურვებდნენ ვეფხვის სტუნაობას, მერე ვერ მოითმინეს და თითონაც გასტენ.

— თქვენ ვინ გეპატიებათ! უთხრა ლისტმა, მაგრამ იმათ უური არ ათხოვეს, ვეფხვსე ადრე გასტენ, და მერე გამწვრთნელს და ვეფხვსაც თავსე გადაასტენ. ვეფხვს თითქოს არ ეჭამნიკა ასეთი თავსედობა და გაჯავრებული თავის ალაგს დაუბრუნდა. ამაზედაც ბევრი ვიცინეთ.

მერე ლისტმა ორი ტაბურეტკა გამოიტანა და შორი ახლოს დადგა. ტაბურეტკებს წინ თითო ბოძი დაუდგა, ამ ტაბურეტკებზე ორი ვეფხვი ავიდა, წინა თათები ბოძის თავებზე დადეს, კისრები ერთი ერთმანეთისკენ გაიგებლეს და ასე გაჩერდნენ. ლისტმა მათ ჰირში კრკალი მოსცა დასაჭერათ და ახლა ამ კრკალში სსვა ვეფხვმა, ლეოპარდმა და ძაღლებმა და-



იწვეს გასტომ-გამოსტომა. მერე გაძწვრთნელმა მათ ჰირიდან კრკალი გამოართვა, ერთ ერთ ვეფხის მუცლის ქვეშ თავი ამოჭყო, კისერზე აიკიდა და ასე რამდენიმე სახს ვეფხ აკიდებული იდგა ჩვენს წინ. ჩვენ ამ დროს უშიძარ და ღონიერ მხეცთა გაძწვრ-ნელს აღტაცებით ტაშს უკრავდით. ამის შემდეგ მოსამსახურეებმა გალიაში მშვენიერი ჰატარა ეტლი შემოიტანეს. გაძწვრთნელმა ეტლში ორი ვეფხი შეაბა, ეტლში მისივე ბრძანებით ვეებერთელა აფრიკის ლომი მედიდურათ წამოჯდა. ლისტმა ლომს თავზე გვირგვინი დაადგა და სამეფო მანტია წამოასხა. უკან ეტლზე მოხამსასურესავით ორი ძაღლი დასკუნდა. ამ დროს მუსიკის სმა მოისმა და ვეფხებმაც ამ სმაზე გალიის ირგვლივ მხეცთა მეფე შემოატარეს. ჩვენ უველა მუერებლებს ძალიან მოგვეწონა ეს სურათი და დიდხანს ტაშს ვუკრავდით და ვაძას გავიძახოდით.

ჯერ მეფე თავის აძალით არ დაძლილიყო, რომ სახარელი ლომის ღრიალი შემოგვესმა და გალიაში ასალი დიდი ლომი შემობძანდა. დანარჩენი მხეცები გაინაბენ და მიუხდენ. მხოლოთ ჰატარა ძაღლები უურადლებას არ აქცევდენ და მსიარულათ დარბოდენ.

— ეს ჩემი ნებიერია,—სთქვა ლისტმა და ამ საშინელ ლომს თავზე ხელი გადუსვა. მერე სხვა ლომებს დაუძახა და გალიაში გამართულ ტასტრევანთან მიიუვანა. ტასტრევანს წინ რამდენიმე დასაჯდომი ჰქონდა გამართული ერთი ლომი ტასტრევანზე



დასვა, თითონ წინ დაუჯდა, აქეთ იქით ორი ლომი მოუჯდა და დანარჩენები იმის ფესთ ქვეშ წამოწვეს. სწორეთ შესანიშნავა სანახავი იყო ეს სურათი. ეს უიარაღო ადამიანი სულაც სუსტათ და საცოდავათ არ გამოიურებოდა ამ უხარმახარ სახარელ მხეცებთა შორის. თითქოს ისიც ისეთივე მედიდური და მძლავრი იყო. ტასტრეკანს რამდენიმე ვეფხვი მიუასლოვდა. ლისტმა ვეფლას ერთათ დაწოლა უბრძანა. ზოგი მაშინვე მიწვა, ზოგმა კი ღრინვა და კუდის ბარტყუნი დაიწყო.

— დაიძახეთ! დაივირობ ლისტმა და ღონივრათ მათრახნი გაატლამუნა.

ვეფლანი უცბათ დაწვეს და თვალები დახუჭეს.

ლიტმა მათრახი იქით გადაადგო და თითონ მხეცების გროვასე წამოწვა.

მხეცებს არ მოეწონათ ადამიანისაგან ასეთი დახაკრა, მოჭევეს ღრინვას და ბრახობა დაიწვეს.

ჩვენ შიშით ვიწურებოდით, გვეშინოდა გამწვრთნელი ნაკუწ-ნაკუწათ არ ექციათ გაბრახებულ მხეცებს, ლისტმა კი დამძვიდებული გაჭიმულიყო რბილ, თბილ ლეიბსე და გაბრახებულ ლომებს ეთამაშებოდა კიდეს.

ვეფლასე დიდმა და საშინელმა ლომმა წამოიწია და გააღმასებულმა, გაბრახებული მოელვარე თვალები გამწვრთნელს მიაშტერა. ამნაირი მონობა მოსწყინდა, თითქოს უნდოდა ადამიანისთვის ესლა ერთათ გადაესადა ის დამცირება და დახაკრა, რაც ამდენი ხანი აიტანა. განა იმისი ალავი აქ არის,

ამ რეინის ვიწრო გალიაში, სადაც მას აღმადანები
 თავიანთ ნებაზე ათამაშებენ. განა ის ესლა თავის
 სამეფოში, აფრიკის უდაბნოში არ უნდა იყოს.

იმ წუთას ბევრს ჩვენგანს შეკვეცოდა აღმადანი-
 სვან დამონავებული უდაბნოს მეფენი.

ლოში თითქოს თანდათან ბრახდებოდა, კბი-
 ლებსა სჭენდა და კუდსა სცემდა იატაკზე.

— უთუოთ გასწიწკნის საბრალოს! მოისმოდ
 აქა იქა ხმები.

ლისტი მათრახს დასწვდა და დაიფიქრა:

— ჩუმათ!

ლოში განიხება, განუძა და თავისი ბანჯკულია-
 ნი თავი მშვიდათ მის წინ დასწარა.

ლისტმა ხელებით გაუწია ლოშს ჰირი და თა-
 ვის თავი შიგ სახაში ჩაუდო.

ვევლამ დელვა დავიწუეთ, ბავშები და ქალები
 ვევიროდიო, ზოგმა თავლებზე ხელები მიიფარეს.

უშიძარმა მსეცების გამწვრთნელმა კი თავისი
 საზარელი მოწაფეები აქეთ იქით გაუანტა. მარდათ
 წამოსტა, ღიმილით დაბლა თავი დაგვიკრა,
 რომ დავესწარით მის წარმოდგენას და მად-
 ლობა გადაგვინადა.

მე აღელვებული და კმაყოფილი შინ დავბრუნ-
 დი.

ლისტი თავისი მსეცებით დიდხანს სიხმრათ მე-
 ლანდებოდენ.

კულრაჭა.

(გადმოკვიებული)



საქართველოს
საბჭოთაო
საზოგადოებრივი
საბავშვო
საგანმანათლებლო
საქართველოს
საბავშვო
საგანმანათლებლო
საქართველოს
საბავშვო
საგანმანათლებლო

ა ნ დ ა ზ მ ბ ი.

(წარმოდგენილია ი. მარაქიაშვილისაგან)

ტკივილი შევა სირბილითა
გამოსვლა იცის ნაზითა,
ჯანში შევა ფუთობითა
გამოსვლა აქვს მისხლობითა.

ნამდვილი ღარიბი ის არის,
ვინც კუთითაც ღარიბია,

მოთმინება მწარეა,
ნაყოფი კი ტკბილი აქვს.

ბ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

(მისგანვე წარმოდგენილი)

ერთ ჩიტს ერთი სახლი აბარია.

კედელი გავარღვიე, შიგნეული ვკამე, კენჭები კი გადავყარე.

ვზივარ შუაში, არა მაქვს ფასი,
დამცქერია ყველა თვალში.

(წარმოდგენილია ად. იასღაშვილის, მაერ)

ერთი ექიმი მოვიდა უცხოეთიდან შავითა,
დალია ღვინო დაღვინდა ზღვაში შაერთო ნავითა.

ზ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილია ან. შაუკაშვილისაგან)

ორი ასო ერთათ დასვით
მეთუთხმეტე და პირველი,
დანარჩენი წყლის პირზეა,
მუდამ გრილი, მუდამ სველი.

მთელი სიტყვა ხელთ მიქირავს,
ჩემის ფიქრის გამომთქმელი:
ვგონებ საკმაოთ ავიხსენ,
გამოცნობას შენგან ველი.

ა მ ა შ ი კ ა ს უ ხ ი.

ერთხელ ისპანიის მეფემ ახლათ არჩეულ პაპის სულ ახალ-გაზრდა აზნაურ-შვილი აახლა. მოხუცებული პაპი განცვიფრდა, რომ მეფემ ასეთი ბალლი გამოუგზავნა და ვაკვირვებით იკითხა: „ნუ თუ ისპანიის მეფეს არ მოეპოვებოდა სხვა კაცი, რომ უწვევრ-ულვაშო ყმაწვილი არ გამოეგზავნა ჩემთან?“

— ჩემი მეფე რომ წვერის ამოსვლას ღირსებათ სთვლიდეს, — უპასუხა ამაყათ ყმაწვილმა, მაშინ თხას გამოგიგზავნიდათ და არა კეთილ შობილ აზნაურიშვილს.

ერთხელ მასწავლებელმა ჰკითხა მოწათფეს:

- რამდენი გრძნობა გაქვს?
- ოთხი — უპასუხა მოწათფემ.
- აბა ჩამოთვალე?
- მხედველობა, სმენა, გემოვნება და შეხება.
- განა ყნოსვა არა გაქვს?
- არა, საშინელი სურდო მქირს, უპასუხა მოწათფემ.



გამოცანებისა: აბრეშუმის ქია, ბეკედი და თითი, თოფი, ზღარბი.

რებუსი: ცას ბინდ-ბუნდი გადაჰშორდა
განთიადმა დასძრა ნავი
ბრწყინვალეებით გვითენდება
ქრისტეს შობის დღე უკვდავი.




ზ ა მ თ ა რ ი



აზაფხულის ნაზი შვილი
 დაქცნა ია, დაქცნა ვარდი...
 და გუმბათად თალ შეკრული
 მოიღუშა ცა ლაყვარდი.
 არ ამშვენებს არე მარეს
 ცხრათვალა მზის სხივთა კონა
 არც უღრანი ტყე შრიაღებს,
 არც რაკრაკებს „ვარდის მონა“.
 მხოლოდ უსტვენს ცივი ქარი,
 და ვრცლათ გაშლილ დაბა სოფლებს
 ზამთრის ღმერთი თავზე აყრის
 მოცეკვავე თეთრ-თეთრ ფოთლებს.
 დედამიწას თეთრ საბნის ქვეშ
 სძინავს წყნარათ, განაბული,
 სიზმარშია: თვალწინ უდგას
 მომავალი გაზაფხული.

ვ. რუხაძე.





ტელეგრაფმა, ახალი ტელეგრაფმა!



ცა მოწმენდილზე რომ მეხი ჩა-
მოვარდნილიყო ისე არ გაუკ-
ვირდებოდა სოფოს, როგორც
ომის გამოცხადება. ის ჩვეუ-
ლებისამებრ საზაფხულოთ წა-
ვიდა თავის სამშობლო სოფელში „რიყის პი-
რას“ ერთი ორი თვით, როგორც კვლავ თან
წაიყვანა თავისი ორი გოგონა, ერთი ხუთი
წლისა და მეორე სამისა. 9 წლის ვაჟიშვილი
გავლო ქალაქში ქმართან დატოვა. მისი ქმა-
რი გაბო ჯერ ისევ ახალ გაზრდა იყო, მალა-
ზიაში მსახურობდა და მალაზიის პატრონის ნე-
მეც ენრისონის მარჯვენათ ითვლებოდა. გაბო
ზაფხულოდით ვერ ზიაროვებდა თავის უფროსს,
რადგან ენრისონი სწორეთ ამ დროს მიდიოდა

მალაზიისთვის სავაჭროს შესაძენათ.

სოფო ოჯახის კაი გამრჯე იქნებოდა, რომ საცოდავს
მუხლების ხუთვა არა ჰქონოდა. ავღარში, ან ნადველზე ისე
მოიკრუნჩხებოდა, რომ გავლა ვეღარ შეეძლო. მის სამი წლის
გოგონასაც დაჰყვა ეს ავთმყოფობა. სოფოს ერთი ხელი სამ-
შობლოზე ჰქონდა. ყოველ ზაფხულს დედის და ძმების სანა-
ხვათ მიდიოდა სოფელ „რიყის პირას“ აკიდებული ბოღჩე-
ბით, ძველი და ახალი ტანისამოსი მიჰქონდა, ზოგი საჩუქ-
რათ და ზოგი გასაყიდათ. საღამოობით კალოზე გამოიფინე-
ბოდენ მეზობლები და ქვეყნის ავ-კარგზე ლაპარაკობდენ.

რკინის გზის სადგური ცოტა მოშორებით იყო მათგან,
ამბები დაგვიანებით მოსდიოდათ. იქაური აურ-ზაური ადვილათ
არ აღწევდა ამათ სოფელს. კანტი-კუნტათ მოდიოდა ამავე,



რომ ხაზინა ყიდულობს ომისთვის ყველა ცხენებს და ამ ცოტა ხანში არა ჩვეულებრივი ამბავი მოხდება.

ბიჭები კალოზე ოხუნჯობდნენ კიდევ: იქნება ხაზინამ ჩვენი კალოს ჯაგლაგი ცხენიც კაი ფასში იყიდოსო.

მაგრამ მალე სიმწირის დღეები დადგა. ახალ-გაზრდა ბიჭებს გამოუცხადეს: ჩვენმა ხელმწიფემ ომი გამოუცხადაონემეცებს და ყველა დიდი და პატარა უნდა ჯარის კაცათ გაიყვანონო, თითქმის ამავე დროს სოფლსაც მოუვიდა ქმრისაგან ბარათი: ჯარში მივყევარ, მოდი საჩქაროთ. ამ ოთხი სიტყვის მეტი არაფერი ეწერა. გაფითრდა სოფო, მუხლები მოკვეთა. ძმებსაც და ბიძაშვილებსაც, რასაკვირველია, ყველას წაიყვანდნენ ჯარში. გაეშურა სოფო თავისი ორი გოგონათი სადგურისკენ, მაგრამ ისეთი არეულობა, ისეთი აურ-ზაური დაუხვდათ გზაზე, რომ სამჯერ უკან დაბრუნება მოუხდა.

სოფოს მეორეთ მოუვიდა ქმრის ამბავი — მოეპატარონე სახლ-კარსაო. მაშინ კი გამწარებულმა მიატოვა შვილები და დიდი ვაი-ვაგლახით მიაღწია ქალაქამდის.

სოფოს მისვლა სახლში და გაბოს წაყვანა ჯარში თითქმის ერთ და იგივე დროს მოხდა. ქმარმა მხოლოდ ის უთხრა, რომ ენრისონმა ერთ კვირაში მაღაზია საქონლით მთლათ გაყიდა და ჯამაგირის მაგივრათ ამას საქონელი დაუტოვა. თითონ კი თავისი ცოლ-შვილით გაეშურა გერმანიაშიო. სოფო გამოეთხოვა ქმარს, ნაღვლიანათ გადახედა თავის სახლ-კარს და იგრძნო, რომ დღეის იქით მის ოჯახმა დაჰკარგა სიმშვიდე და ბედნიერება.

სოფოს თვალში არ მოსდიოდა ეს მაღაზიის ამისთვის გამოუყენებელი საქონელი. მართლაც, რათ უნდოდა ეს ძვირფასი ბლონდის ფარდები? რათ უნდოდა ეს ხავერდის სუფრები, ძვირფასი საბნები. მისთვის საჭირო იყო პური, ხორცი, შაქარი და სხვა ხორაგი. სოფლიდანაც რას ჩამოიტანდა, იისათე არც ქირახულის შეზიდვა მოასწრეს და არც ბოსტნეულობა მოუვიდათ რამე. რითი უნდა გამოკვებოს ამ უფეხო დედაკაცმა სამი შვილი? გაგლო გვერდით უდგა დედას, თვალ-წარბში შესცქეროდა, ნაღველს უზიარებდა... შველით კი რას უშველიდა!

ამათ ავლაბარში, კახეთის ქუჩის შესახვევში, ერთი დიდი ოთახი სამხარეთულოთი ექირათ. სოფოს მეზობლები ბლომათა ჰყავდა,

მაგრამ ყველას გაკირება ადგა და სხვის ნუგეშის საცემლათ არა სცალოდათ. ის კი უთხრეს სოფოს, რომ ჯარში გაწვეულ კაცების ოჯახს დაენიშნებათ ქალაქიდან თვიური შემწეობა და სოფომაც შეიტანა ქალაქი. სწორეთ ამ დროს ქმრის ამბავი მოუვიდა: ახალ-ქალაქში ვართ, ყოველ დღე გავყევართ სავარჯიშოთო და ომისა ჯერ არაფერი ვიციოთო. ამ ამბავმა სოფო ცოტა დაამწვიდა. თავისი გოგონები სოფლიდან ჩამოასხა და დაიწყო მალაზიიდან მოცემული საქონლის გაყიდვა. გამოფინა თავის ოთახში ძვირფასი ნივთები და აუარებელი ხალხი შედიოდ-გამოდოდა უფრო საცქერლათ, ვიდრე საყიდლათ. მოაღწია სოფოს სახელწოდების დღემაც. ჩვეულებრივით მეზობლები ეწვივნენ, სოფოც ცოტა არ იყოს მოცოცხლდა და სწორეთ ამ დღეს მოხდა ერთი მოულოდნელი ამბავი.

მის ოჯახში შემოვიდა ერთი მოხუცებული დიდი ოჯახის ქალი სათვალეებით და ჯოხზე დაბჯენილი. მას ახლდა ყმაწვილი ქალი, მოხუცებულმა მაშინვე ქართულათ დაუწყო სოფოს გამოკითხვა — რამდენი შვილი გყავსო და რომელ მხარეშია შენი ქმარიო. ყმაწვილ ქალს არ ესმოდა ქართული. ხან სომხურათ და ხან რუსულათ ლაპარაკობდა. ამათ დიდი ყურადღება მიჰქცევს ბლონდის ფარდებს და ძალიან უკვირდით, რომ ამისთანა ძვირფასი მორთულობა დაუხვდათ ამ სახლში, საცა ეგონათ, რომ სიღარიბე იქნებოდა. სოფო ვერაფერს მიხვდა. თითქოს ამაყობდა კიდევ, რომ მათ მიუწონეს ოთახის მორთულობა. ბოლოს ორივენი გავიდნენ, თურმე ქალაქიდან იყვენ გამოგზავნილნი და გათავდა იმითი, რომ სოფო ღარიბათ არ იცნეს და „პაიკი“ — გაწვეულ ჯართა კაცის ოჯახის შემწეობა — მას სულ მკირე დაუნიშნეს.

* * *

აკვიდა, ზამთარი მოიპარებოდა. წვიმებმა მოუხშირეს. სოფოს მუხლებმაც კვნესა დაუწყეს, ადგილიდან ვეღარ ინძრეოდა. და გაგლოს სკოლაში გაგზავნა შეუძლებელი გახდა. ბიჭს აღარც ტანისამოსი უვარგოდა და სახლშიაც საჭირო გახდა. ყოველ წამს დუქანში გარბოდა, ხან პურისთვის, ხან ნავთისთვის და სხვა. გასასყიდი საქონელის ფული იმდენი არ შემოვიდა, რომ ქმრის ჯამაგირი აეზღვაურა. გაგლო ცოცხა-

ლი ხასიათის ბიჭი იყო, სწავლა ეხლისებოდა და ამგვარ ცხოვრებას ვერ აიტანდა. ყმაწვილი უმეგობრებოთ, უწიგნებოთ დარბოდა. გამვლელ-გამომვლელი გოგო-ბიჭები კითხულობდნენ—როდის მოხვალ სკოლაშიო. თვით მასწავლებელ ქალმაც ინახულა სოფო, მაგრამ ვერა გააწყო რა. მისი დედა სულ გაიძახოდა: ხელობაზე უნდა მივცეო, გროშები მაინც უნდა შემოიტანოს სახლშიო. სოფოს ჰყავდა მოკეთეები, მახლობელი ნაცნობები: ნათლი მამა ბესო, მულისწული, ასოთ ამწყობი სანდრო და სხვები. მათთან ხშირათ გაგლოს პედილაზე ლაპარაკობდა. რჩევას ჰკითხავდა—რა ხელობაზე დაეაყენოვო. ქმარიც ხშირათ იწერებოდა და სოფოს აჩქარებდა—გაგლო საქმეზე დააყენეო: ჩვენ დღე დღეზე თათრებთან საომრათ გავალთო და ვინ იცის რა მომეღისო. ნათლი მამა ბესო ურჩევდა მიკიტანთან და ან ბაზაზთან დააყენეო. გაგლო ამ რჩევაზე წარბებს შეიკრავდა და ჩუმათ მუშტს უჩვენებდა. ეშინოდა დედა არ დათანხმდესო. სანდრომ კი ერთხელ ასე თქვა: ახლა ტელეგრამებზე დიდი მოთხოვნილებაა, ძალიან იყიდებაო და ბევრმა ბიჭებმა სამუშაო იშოვესო. იქნება მე ადგილი ვუშოვოო. კითხვაც ხომ იცის, ესეც ხელს შეუწყობსო. მოგება მაგის სიმარჯვეზე იქნება, თუ ბევრს გაჰყიდის—გაცილებით ბევრსაც იშოვის, ვიდრე მიკიტანთან და ან ბაზაზთან. ეს აზრი დედა-შვილს ძალიან მოეწონათ და ახლა ამ მესტამბე სანდროზე იყო დამოკიდებული, თუ როდის უშოვიდა გაგლოს ადგილს.

ადგილის მოლოდინში გაგლო თავს აწყვეტდა აქეთ იქით. გაათავებდა თუ არა სახლში საქმეს გადიოდა მახლობელ მოედანზე და იქ ქუჩის ბიჭებთან ერთობოდა კოჭაობით და ლაზღანდრობით. მალე ამ ბიჭებს ისე შეეთვისა, რომ მათი მესაიდუმლეც გახდა და სულ შორს იკარგებოდა. ხანდისხან დედა სადილათაც კი ვერა ხედავდა და ლამე ისეთი დალაღული ბრუნდებოდა სახლში, რომ ლაპარაკის არაქათი აღარა ჰქონდა. ასე გავიდა თვეზე მეტი.

ბესო ხანდახან შემოდებოდა სოფოს სანახავათ და ომზე გაგონილ ამბებს მოუყვებოდა. ერთხელ ისიც კი შემოუტანა ამბათ, რომ თათრები აპირებენ ჩვენ ქალაქში შემოსვლასო. სოფოს აღარ მოსდიოდა ქმრის წერილები, არ იცოდა სად



არის, ან ცოცხალია თუ მკვდარი. საწყალი დედაკაცი გამწარებული იყო. სანდრომაც აღარ მოხედა, უთუოდ გაგლოს ვერ უშოვა დაპირებული საქმე.

ერთ დილა აღრიანათ მასთან შემოვიდა ბესო, მას აღელვება ეტყობოდა. მაშინვე იკითხა გაგლო, მაგრამ სად ნახავდა იმას კაცი. ის კარგა ხანია გასულიყო სახლიდან.

ბევრი ტოტმანის შემდეგ ბესომ უთხრა სოფოს: ნათლი დედავ, სად დახეტიალობს ეგ შენი გაგლო, არ იკითხავ? იმ ქუჩის ბიჭებმა არაფერ ხიფათში არ გააბან! გუშინ ძლივს უშველე, პოლიციელებს ხელიდან გამოვტაცე, მე რომ არ მივსწრებოდი უპირებდენ დაჭერას. ჯიბგირებისთვის მოველოთ ხელი და მათ შორის გაგლოც დაეჭირათ. უსაქმობით რომ დახეტიალობს რა ხეირი დაემართება, გაერევა რომელიმე ბრბოში და თვალები დაგიმიწდება.

სოფო ჯერ გაჯავრდა, შვილს ესარჩლებოდა, ბოლოს დანაღვლიანდა და ჩაჩუმდა. ბესო ფეხ აკრეფით გამოვიდა ოთახიდან.

იმ დღეს სოფო ძალიან მოუსვენრათ იყო, მოუთმენლათ ელოდა გაგლოს და როდესაც ის ფეხ აკრეფით შემოიპარა, უნდა ქვეშაგებში ჩუმად ჩაწოლილიყო—დედა საყვედურით მივარდა:

— სად დახეტებები შე დედა მკვდარო! ჯიბგირებთან რა ხელი გაქვ!, რომ უსაქმობით თავს აწყვეტ!

გაგლო მიხვდა, რომ დედისთვის ამბავი ბესოს მოუტანია და თავის გამართლებას მოჰყვა.

— ღმერთმანი დედი, მე არაფერ შუაში ვარ. მხოლოდ ერთხელ მივედი იმათ ბინაზე... აღარ ვიქ, ნუ მიჯავრდები.

დედა დაჩუმდა, საბრალოს დიდ ხანს თვალი არ მოუხუჭავს, თავის თავს სდებდა ბრალს, ბავშს აღარ მივხედეო, სანდრომაც საქმე არ უშოვა და უსაქმობით რა ხეირი დაემართებოდაო. ბოლოს გადასწყვიტა მეორე დილითვე წასულიყო სანდროსთან და მოლაპრაკებოდა გაგლოს შესახებ.

დილით სოფომ გაგლოს ჩააბარა დები და სახლი და თვითონ გაემგზავრა განძრახულ საქმის თაობაზე.



გაგლომ მთელი დღე დაჰყო სახლში. ქუჩის ბიჭებმა თავიანთ შორის აღარ ნახეს გაგლო წამოვიდნენ მისი ბინისაკენ, მასთან ვერ გაბედეს შესვლა და შორიდან ეპატიებოდნენ. გაგლომ ნიშნებით შეატყობინა ვერ მოვალო. მთელი დღე ყმაწვილი საშინლათ მოწყენილი იყო და თუმცა დედა მოადრებით მოვიდა, მაგრამ გაგლომ ვერ გაბედა საღმე წასვლა და ადრე დაიძინა.

* * *

სანდროსთან ლაპარაკის შემდეგ მეორე დღილაზე სოფომ უთხრა გაგლოს, როდესაც ის ნაღვლიანათ აღარ შორდებოდა სახლს.

— გადი კარში, შვილო, მიიხედ-მოიხედ!

სანდროს გაგონილი ჰქონდა, რომ ავლაბარში სასაფლაოზე ჯიბგირები იკრებოდნენ და ნაღვლს იყოფდნენ. თითონ იკისრა ამ საქმის გამოწყობა ესე იგი გაგლოს გადაჩენა ამ ბრბოსაგან. ის ეთანხმებოდა სოფოს, რომ უსაქმობით ცუდ ამხანაგებმა ჩაითრიეს ყმაწვილი და საჭიროა ფრთხილათ მისი მოშორება მათგან.

სანდრო ორი სამი დღე უთვალთვალებდა ჯიბგირებს. პირველ ორ დღეს გაგლო არსადა ჩანდა, ხოლო დანელოვნებული ჯიბგირები სწურთნიდნენ, ავარჯიშებდნენ ახლებს. როგორ პირველ მათგანს უფრო გამოცდილს უნდა წაერთმია ვინმე გულუბრყვილო ადამიანისთვის ფულის ქისა, მერე მეორესთვის გადაეცა, ის კიდევ მესამეს გადასცემდა და ასე, სანამ ქურდის კვალი არ გაქრებოდა. სანდრომ ისიც ნახა, როგორ დავლის გაყოფის დროს ერთმანერთს თავ-პირს ამტვრევდნენ. ბოლოს მესამე დღეს რომ მივიდა სანდრო სასაფლაოზე შორიდან დაინახა როგორ ძალით მოათრევდნენ გაგლოს. ამხანაგები სიცილით კვდებოდნენ და თან ეუბნებოდნენ: ჩვენც პირველათ არ გვინდოდა ამ საქმისთვის ხელი მოგვეკიდნა, მაგრამ ახლა რაც უფრო სახიფათოა იმას ვკიდებს ხელს.

გაგლომ უცბათ შეამჩნია სანდრო და ისეთი მუდარებით გადახედა, რომ ეჭვი არ იყო ადვილი იქნებოდა მისი მოშორება ამ ჯიბგირებისაგან. ის მიუახლოვდა ბრბოს და თითქოს არაფერს არ ამჩნევსო დაუწყო ბიჭებს სულ სხვა რამეებზე ლაპარაკი. ჯიბგირები დაშინებული იყვნენ, პალიციელი ეგო-

ნათ და მის მიხლოვებაზე დააპირეს გაქცევა. მაშინ სანდრომ მოუყვა სხვა და სხვა ადგილას ჯიბგირების თავგადასავალი. გაგლოს ხელი დაუჭირა და წამოიყვანა თავისთან. ჯიბგირებმაც მას აქეთ თავი დაანებეს ამ ყაწვილს.

* * *

სოფოს სოფელ „რიყის პირიდან“ სანუგეშო ამბები არ მოსდიოდა: დედა შენი შიმშილით კვდებაო. ძმის წულები შეიხიზნაო. გაზაფხულზე წყალ-დიდობამ წაიღო იმათი სახლ-კარი და ვენახი და ომმა არ დააკალა მამას ოჯახის რიგზე დაყენება.

სანდროს დანაშაულობა უნდა გაესწორებინა და სანამ ადგილს უშოვიდა, გაგლო წაიყვანა თავისთან სტამბაში. გაგლო ისეთი ფხიზელი და მოსიყვარულე ბავში იყო, რომ ყველას თავი შეაყვარა. სწორეთ ამ დროს ქალაქში გავარდა ხმა თათრები შემოდინაო და ბევრნი მიიფანტ-მოიფანტენ. სამუშაო უფრო ადგილი საშოვნელი იყო. ტელეგრაფებმაც გამოსვლა უხშირეს და შობა დღეს გაგლოს გამოუცხადეს, რომ პირველ იანვრიდან მას იყვანენ ტელეგრაფების გამყიდველათ.

სოფოს კარგა ხანი იყო ქმრის ამბავი აღარ მოსვლოდა, — თუ ცოცხალია — იქნება ტყვეთაც წაიყვანესო, ფიქრობდა. ნაღვლიანს ამ ახალ წელიწადს გული ცოტა მოეღობო, რაკი გაგლომ საქმე იშოვა და ჯიბგირებს თავი ააცილა.

გაგლო კი ახალ წელიწადს დილით უკვე დარბოდა ქუჩებში და გაიძახოდა: ტელეგრაფ...მ...ა, ახალი ტელეგრაფ...მ...ა!

ანასტასია წერეთლისა.



ა ლ ი ლ ო.

(სოფელის სურათი)



ამეა ცივი... ცის მკერდი
შავ ღრუბლით მოფენილია,
გაშიშვლებული მთა-ბარი
დაღვრემილ-მოწყენილია...
მთის მწვერვალის ნისლის ქალარა
თმა-წვერათ შემოხვევია, —
საშინლათ ჩაბნელებული
გულ-ჩათხრობილი ხევია.

ნაკადი ზანტათ მიტბორავს,

არ მუსაიფობს ქვებზედა,
რომ ველარ ხედავს ყვავილებს,
გაფურჩქენულს ნაპირებზედა.

ღამეა ცივი... თან ქარი
მქისედ ქრის, მქისედ სისინებს...
ხის ფულუროში აქა-იქ
ბუ ხმის კანკალით ქვითინებს.

სძინავს ყველაფერს და ძილში
მქამეთ, ყრუთ ოხრავს სოფელი, —
მარად მშვიერი, მწყურვალი,
მარად ცრემლ-შეუშრობელი.
ჩუ! ეს საიდან მოისმის
გალობა ნაზი, ტკბილია?!
ვიშ, ნეტარებავ! რა მწყობრი,
რა ნაზი, ნელი, ფრთხილია!!

როგორ მალამოთ აღნება
მკერდს სოფელს მგლოვიარესა:
უტკობს, უმწვიდებს გამკრთალ ძილს,
უფანტავს ფიქრებს მწარესა!
აგერ გამოჩნდენ ბიჭები,
მიიბიჯებენ ჯოხებსა,
და უგალობენ ალილოს
დაობლებულსა ქოხებსა.

ხან აქ მოისმის, ხან კი იქ,—
სმენათ ქცეულა მთა-ბარი,
ჩაგრულთა გულში იღვიძებს
რწმენა-იმედის ლამპარი.

ი. სიხარულიძე.





გ ა ი ფ ი ც ა.

ჯეკ ლონდონისა.

ვიღვიძებ, რომ ისევ შევეუდგე შრომას.
უფალო, განმიხალე ძალა ძარღვებში;
და თუ სიკვდილი მესტუმრება დღესვე, არ მაცლის,
დე, მოკვდე ისე, ვით შეჭფერის მუშას, მშრომელსა.

ამინ.



ონი, ადექი, თორემ იცოდე მშიერს დაგტოვებ!
მუქარამ არავითარი გავლენა არ იქონია
ბავშვზე. ის განაგრძობდა ძილს, რაც ისე ტკბი-
ლი იყო მისთვის, როგორც ოცნება მეოცნებე
ადამიანისათვის. ჯერ ისევ, მძინარე ჯონიმ შეუფენებლათ და-
მუჭა ხელები და მთრთოლვარე იქნევედა მათ ჰაერში. მუშტე-
ბი მიმართული იყო დედის საცემრათ, რომელიც, როგორც
დიდი ხნის მიჩვეული, მოხერხებულათ იგერებდა და განაგრ-
ძობდა მძინარე შვილის ნჯღრევას.

— თავი დამანებე, მომასვენე!

ეს იყო ავადმყოფისებური, ძილ-მორეული ძახილი, რო-
მელიც უცბათ ისე გაიზრდებოდა, რომ ველურ ყვირილათ
გადაიქცეოდა, წამის შემდეგ კი ისევ წყნარდებოდა და საცო-
დავ კნავილათ იქცეოდა. ეს იყო სიმწრით გამოწვეული კვნესა,
კვნესა ბავშვისა, რომელსაც აწვალებენ.

მაგრამ დედა ამას ყურადღებას არ აქცევდა. იმისი თვა-
ლები მუდამ მოწყენილობას ხატავდა, მისს სახეზე დაღლილ-
დაქანცულობის მეტს ვერაფერს ამოიკითხავდით. მას სრულე-
ბით არ აკვირვებდა შვილის ასეთი საქციელი, ეს ამბავი ყო-
ველ დღე ხდებოდა. დედამ დაუწყა საბნის გადახდა, მაგრამ
ბავშვი მოიკუნტა და ჩაჰკიდა საბანს ორივე ხელები. დედა-
კაცმა მოიკრიფა მთელი ძალ-ღონე და როგორც იყო ლეი-

ბით ჩამოუშვა ძირს. ჯონიმ იგრძნო ოთახის ცივი ჰაერი და კიდევ უფრო მაგრათ ჩაებლაუქა ლეიბს.

ყმაწვილს მოეჩვენა, თითქო თავით ვარდებოდა და შიშმა გონება გაუღვიძა. ჯონიმ წამოიწია, ცოტა ხანს ასე გასტანა, თითქო, რაღაც უნდა მოიფიქროსო და შემდეგ დადგა ფეხზე. სწორეთ ამ დროს დედამ დაუჭირა მხრები და ღონივრათ დაანჯღრია. ბავშმა ისევ დამუქა ხელები, ხოლო ახლა უფრო ღონივრათ და გამომეტებით მოუქნია დედას საცემრათ. ამ დროს თვალებიც გაახილა. დედამ თავი გაანება. ჯონის გამოეღვიძა.

— ეღვები! — წაილაპარაკა მან.

დედამ დასტაცა ხელი ლამპას და დაჩქარებით გამოვიდა ოთახიდან. ოთახი დაბნელდა.

— ჩქარა! — შესძახა დედამ:

ჯონიმ ყურადღება არ მიაქცია სიბნელეს და იწყო ტანთ ჩაცმა. ჩაიცვა და წავიდა სამზარეულოსკენ. შესახედაობით გამხდარსა და მარდ ყმაწვილს საშინელი მძიმე მიხვრა-მოხვრა ჰქონდა. ძვლებათ ქცეულ ფეხებს ძლივს მიათრევდა. ძირ-გავარდნილი სკამი მაგიდას მიუდგა.

— ჯონი! — მკვახეთ დაუძახა დედამ.

ჯონი უცბათ წამოდგა და მივიდა ქუჩყიან, აშმორებულ წყლის მილთან. ჯამიდან სულის შემხუთველი სუნი ამოდირდა, მაგრამ ჯონის ყურადღება ამან არ მიიქცია. ეს ახალი ამბავი არ იყო მისთვის. არც ის აკვირვებდა, რომ საპონი ქუჩყიანი იყო და არა ქაფდებოდა. ნაჩქარევათ შეიწკუმპლა სახე ცივი წყლით. არ გაუწმენდია კბილებიც. მიზეზი სულ უბრალო იყო: ვერც წარმოედგინა, თუ ქვეყანაზე იქნებოდა, ისეთი მოცლილი ხალხი, რომ ისეთ უბრალო რამეზე, როგორც არის კბილების წმენდა, დრო დაეკარგა.

— ერთხელ მაინც დაიბანე პირი ხეირიანათ, უსაყვედურა დედამ.

შემდეგ მოხდა ქვაბს გატეხილი თავ-სახური და დაასხა ორი ფინჯანი ყავა. დედის საყვედურზე ჯონიმ არაფერი უპასუხა, დარწმუნებული იყო ლაპარაკს ჩხუბი მოჰყვებოდა, ისიც კარგათ იცოდა, რომ დედა ამ შემთხვევაში არ დაუთმობდა მას. აიღო სველი, ქუჩყიანი პირსახოცი და პირი შეიწმინდა.



— რა კარგი იქნება, რომ ასე შორს არ ვიდგეთ? — სთქვა დედამ, როცა ჯონი დაჯდა. — ვცდილობ რამდენადაც კი შემიძლია, ეს ხომ შენც კარგათ იცი. ერთი და ორი მანეთი კარგი ფულია ჩვენთვის. გარდა ამისა აქ უფრო თავისუფლათაღ ვართ.

ჯონი თითქმის არ უგდებდა ყურს. მას ბევრჯერ გაეგონა დედისაგან ეს სიტყვები. ყოველ დღე იმის ლაპარაკი გაისმოდა, რომ ფაბრიკა-ქარხნებზე შორს ცხოვრობდნენ, და ბევრი სიარული უხდებათ.

— ეგ ორი მანეთი საკმელს რომ მოვანდომოთ ემჯობინება. — დარიგების კილოთი შენიშნა ჯონიმ.

ის სვამდა ყავას და ისე აჩქარებით სვამდა პურს, რომ თითქმის დაუღეპავ ლუკმებს ყლაპავდა. თხელ, ღვრიე სითხეს, რომელსაც ის სვამდა, ყავას ეძახდნენ. ჯონის ფიქრით ეს საუკეთესო ყავა იყო.

პურთან შესატანებლათ მას დედამ მოხარული ღორის ხორცის ნაჭერიც მისცა. ყავა მეორეჯერ დაუსხა. როცა პური სულ გაათავა ჯონიმ დაუწყო ცქერა დედას, თითქოს ეკითხება: სხვა არაფერიაო? დედამ მაშინვე შენიშნა ეს.

— ნუ ხარ ღორი, ჯონი! — უთხრა მან — შენი წილი მოგეცი. შენი და-ძმები შენზე პატარები არიან.

ჯონიმ არაფერი უპასუხა. არ უყვარდა ბევრი ლაპარაკი. აღარც საკმელს უცქეროდა ისე ხარბათ, არც ჩივილი უყვარდა, ყველა და-ძმებზე მომთმენი იყო. ჯონიმ გაათავა ყავის სმა, მოიწმინდა პირი ხელით და უნდოდა ამდგარიყო.

— დაიცა ცოტა ხანს — აჩქარებით უთხრა დედამ — მგონი შეიძლება რომ კიდევ ცოტა პური მოგიქრა.

აქ დედამ ცოტაოდენი ეშმაკობა იხმარა. შვილს ისე აჩვენებდა, ვითომც ახალ ნაჭერს უჭრიდა. მართლა კი მთელი პური კალათში ჩასდო და თავისი წილი კი ჯონის მიაწოდა. დედას ეგონა, რომ მოატყუა შვილი, მაგრამ ჯონიმ ეშმაკობა შეუტყო. მიუხედავად ამისა მან აიღო ნაჭერი: იმისი აზრით დედას, როგორც ავათმყოფს, არასოდეს არ ექნებოდა სხვებისთანა მალა.

როცა მან ხმელ პურს დაუწყო ღოღნა, დედა მივიდა და თავის ფინჯნიდან გადაუსხა ყავა.

— დღეს რაღაც კუჭი მაქვს მოშლილი — შენიშნა ქალმა.

ხანგრძლივმა, გაკიანურებულმა საყვირის ხმამ, ფეხზე წამოაყენა ორივე დედა-შვილი. დედამ შეხედა საათს, ექვსის ნახევარი იყო. მუშათა უბანს გამოეღვიძა. დედამ მხრებზე შალი მოიგდო, თავზე კი რაღაც გახუნებული, შლიაპა დაიდო.

— უნდა ჩქარა წავიდეთ—სთქვა მან და ლამპას ჩაუწია, ცეცხლიც ჩააქრო. ჩავიდენ კიბეზე და გავიდენ სახლიდან. ცა მოწმენდილი იყო და ციოდა. ცივი ჰაერის შეხებაზე ჯონის გააჟრჟოლა. ვარსკვლავებს სიმკრთალე ჯერაც არ მოჰკლებოდა, მთელი ქალაქი სიბნელით იყო მოცული. დედა-შვილი ფეხებს ძლივს მიათრევდენ; მოდუნებული ძარღვები მოსვენებას თხოულობდენ და არა სამუშაოთ წასვლას.

თუთხმეტი წანის სიარულის შემდეგ დედამ მარჯვნივ გადაუხვია

— არ დაიგვიანო!—დაარიგა მან შვილი უკანასკნელათ და ბნელაში მიიმალა...

ჯონიმ არაფერი უპასუხა და განაგრძო თავისი გზა. ქარხნების უბანში ყველა კარები უკვე ღია იყო. ის მალე გვერია მუშებს, რომლებიც ფაცა-ფუცით მიისწრაფოდენ სამუშაოთ: როცა ჯონი ქარხნის კარებს მიუახლოვდა, კიდევ გაისმა საყვირის ხმა. ჯონიმ აღმოსავლეთისკენ გაიხედა. თენდებოდა. მხოლოდ ამ ერთი წამით ხედავდა ჯონი დღის სინათლეს და მყისვე შორდებოდა. მას შემდეგ მთელი დღე ქარხნის შავ ბურუსში იყო ხოლმე გახვეული.

ის მივიდა თავის ადგილას მანქანების წინ. იქ, პატარა კოჭებით სავსე დიდ ყუთზე აჩქარებით ტრიალებდენ დიდი მაქოები, რომლებზედაც ჯონი ახვევდა ძაფს პატარა კოჭებიდან. სამუშაო არ იყო რთული. სისწრაფის მეტი არაფერი იყო საჭირო. პატარა კოჭები ისე ჩქარა იცლებოდა და მაქოები კი იმდენი იყო, რომ ჯონის ერთი წამიც არა ჰქონდა თავისუფალი.

სამუშაო იყო უბრალო. როცა პატარა კოჭი დაიცლენ-

ბოლა, ის მარცხენა ხელით, როგორც ბერკეტით, აჩერებდა. მაქოს და ამავე დროს და ამავე ხელის ცერითა და სალოკითითი იჭერდა ძაფის ბოლოს. ამ დროსვე მარჯვენა ხელით იჭერდა საფე კოქის ძაფის ბოლოს. ეს რთული მუშაობა ერთავე ხელით სწრაფათ და განუწყვეტლათ ერთი-მეორეს მისდევდა. ელვის სისწრაფით მოძრაობდნენ ჯონის თითები, როდესაც ის ნასკევედა ძაფების თავებს და უბნებდა კოქს. ნასკეების გაკეთებაზე ძნელი არაფერი იყო. ჯონის თავი მოჰქონდა ასეთ რთულ სამუშაოზე დგომით, ერთხელ თავის ქეზი აკი სთქვა ამხანაგებში: ძილის დროსაც კი არ გამოიჭიდებოდა ამ ნასკეების შეკვრაო. მას ეგონა ზოგჯერ, რომ მთელი მისი ცხოვრება მიაგავს გრძელ დაუსრულებელ სიზმარს, რომლის დროსაც ის განუწყვეტლათ ამ ნასკეებს აკეთებდა.

ზოგი ბიჭი ეშმაკობდა მუშაობის დროს. რომ დაესვენათ დაკლილ კოქს სახესზე არ სკლიდენ და მანქანას აცდენდენ. ასეთების დასატუქსავათ დაქირავებული ჰყავდათ ზედამხედველნი. ერთმა მათგანმა მიუსწრო ერთხელ ჯონის მეზობლათ მომუშავე ბიჭს და ყურები კინალამ ააგლიჯა.

— ჯონის ვერ შეხედავ! რატომ არ მუშაობ ისე, როგორც ის? — ჰკითხა ზედამხედველმა. ჯონის მანქანაზე კოქები ისე ტრიალებდნენ, რომ თვალს ვერ მოასწრობდით. მან ყურადღება არ მიაქცია ზედამხედველის ქებას. წინათ ქებას დიდ ყურადღებას აქცევდა, მაგრამ ახლა მის სახეს არავითარი ცვლილება არ დაეტყო ქების გაგონებაზე. ის თავდადებული მომუშავე იყო. ეს მან კარგათ იცოდა. ამას ხშირათ ეუბნებოდნენ. ამ გვარი ქება ჩვეულებათ გადაიქცა, მაგრამ ცარიელ ქებაში ყმაწვილი ვერაფერ სარგებლობას ხედავდა. თუ წინეთ ერთგული, თავგამოდებული მუშა იყო, დღეს უენო, ხმა ამოუღებლივ მომუშავე მანქანათ გადაქცეულიყო. თუ როდისმე მუშაობაში ხელი შეეშლებოდა, ეს ხდებოდა ისეთივე მიზეზით, როგორც მანქანის გაჩერება, ან წახდენა, როდესაც მას საჭირო მასალას არ აწვდიან. ჯონისათვის შეცდომა ისეთივე შეუძლებელი იყო, როგორც კარგათ გამართულ ლურსმნის მანქანისათვის უვარგისი ლურსმანის გაკეთება.

და აქ არაფერი იყო გასაოცარი. ჯონი მთელი თავის

სიკოცხლეს მანქანებში ატარებდა. მანქანაზე მახლობელი მას არავინ ჰყავდა, ის დაიბადა და აღიზარდა მათ შორის. თორმეტი წლის წინათ, სწორედ ამ ქარხნის საქსოვ განყოფილებაში მოხდა ერთი ამბავი, რომელმაც ცოტაოდენი მღელვარება გამოიწვია ქარხანაში. ჯონის დედამ თავი ცუდათ იგრძნო. ის დააწინეს გრუხუნით მოძრავ მანქანათა შორის. ორ მოხუცებულ დედეკაცს მიატოვებინეს სამუშაო დაზგები და მიიყვანეს შობიარესთან. აქვე იყო ზედამხედველიც, რამდენიმე წამის შემდეგ ქარხანაში მომუშავეთა რიცხვს ერთი არსებაც მიემატა. ეს არსება გახლდათ ჯონი. მისმა ფილტვებმა პირველ გაშლისთანავე ჩაისუნთქეს ქარხნის თბილი, გაყვნილი და ჩერების ნაწიწით სავსე ჰაერი. მას მაშინვე დაახველა, რათა გაენთავისუფლებინა ნორჩი ფილტვები ამ მოწამლულ მტვრისაგან, მაგრამ ამაოდ. ეს ხველაც მასთან ერთათ დაიბადა და მას შემდეგ აღარც მოშორებია.

ბიჭი, რომელიც ჯონის გვერდით მუშაობდა კენესოდა და მძიმეთ ქშენდა. იმის სახეზე აშკარათ იყო გამოხატული ზიზღი ზედამხედველისადმი, რომელიც შორი-ახლო. იდგა და თვალს არ აშორებდა მას. კოჭები სწორეთ ეხვეოდენ. საბრალო ბიჭი წყევლა-კრულვას უთვლიდა მათ. ზედამხედველი ყველაფერს დიდი სიფრთხილით ადევნებდა თვალ-ყურს, მაგრამ მანქანების ქშენა-გრუხუნში უკმაყოფილო ბიჭის ხმა ვერ გაეგონა.

ჯონი არ ამჩნევდა ამას. ის ყველაფერს თავისებურათ უცქეროდა. ყველაფერი ეს ყოველ დღე ასე ხდებოდა და ჩვეულებრივ მოვლენათ იყო გადაქცეული. ზედამხედველის წინააღმდეგობა ჯონის აზრით ისეთივე უაზრობა იქნებოდა, როგორც მანქანის მოთხოვნილების აუსრულებლობა, მანქანა კეთდება იმიტომ, რომ განსაზღვრული საქმე შეასრულებინონ. ასე უცქეროდა ჯონი ზედამხედველსაც.

თერთმეტ საათზე ქარხნის სახვევ განყოფილებას მღელვარება დაეტყო. მიუხედავად იმისა, რომ მიზეზი არავინ იცოდა. მღელვარება მთელ განყოფილებას მოედო. ჯონის გვერდით მომუშავე ცალ-ფეხა ბიჭი თავისი ყავარჯენით სადღაც გაქრა. შემოვიდა ქარხნის გამგე, რომელსაც ახალ-გაზრდა კაცი ახლდა თან. ეს იყო ქარხნების უფროსი.

ის გაფაციცებით უცქეროდა მუშა-ბიჭებს. ზოგიერთთან შეჩერდებოდა და რაღაცეებს ეკითხებოდა კიდევ. კითხვის დროს ისე ძალიან ყვიროდა, რომ იმისი სახე სასაცილო გამომეტყველებას იღებდა. მან შენიშნა ცარიელი ადგილი ჯონის გვერდით, მაგრამ კი არაფერი სთქვა. ჯონიმაც მიიქცია მისი ყურადღება, და უცბათ შეჩერდა. სტაცა ხელი ჯონის და მანქანას დააშორა, მაგრამ გაკვირვებულმა ხელი გაუშვა.

— რა გამხდარია — სთქვა ღიმილით გამგემ.

— ჩხირივით არის — იყო უფროსის პასუხი — შეხედეთ მაგის ფეხებს ინგლისური ავადმყოფობა (რახიტი) სჭირს; თუ ბნელათ არ გადაექცევა, მხოლოდ იმიტომ, რომ სიკვლევე უსწრებს.

ჯონი უგდებდა ყურს, მაგრამ ვერაფერი გაეგო. მომავალი უბედურობა მის ყურადღებას სრულიადაც არ იწვევდა. ამ ჟამათ უფროსის უფრო ეშინოდა მას.

— ყური დამიგდე, ბავშვო — ჩაჰყვირა უფროსმა ჯონის ყურში — მართალი მითხარი, რამდენი წლისა ხარ?

— თოთხმეტის! — იცრუა ჯონიმ და თან ისე ხმა-მალლა დაიყვირა, რომ კინალამ ფილტვებიც თან ამოაყლა. ამას მოჰყვა მშრალი, ღრმა ხველა.

— შესახედაობით თექვსმეტი წლის გეგანებათ — შენიშნა გამგემ.

— თუ სამოცის? — ჩამოართვა სიტყვა უფროსმა.

— ეს ყოველთვის ასეთი იყო.

— როდის აქეთია მუშაობს? — იკითხბ უფროსმა.

— ოთხი წელიწადია. ამ ხნის განმავლობაში თითქოს არ გაზრდილა.

— გაზრდილა თუ დაპატარავებულა? მართლა სულ აქ გაატარა ეს ოთხი წელი?

— ხან მოვიდოდა, ხან წავიდოდა, მაგრამ ეს იყო ახალი კანონის გამოცემამდე, გაასწორა გამგემ.

— მანქანა არ მუშაობს? — იკითხა ინსპექტორმა და უჩვენა ჯონის ახლოს მანქანაზე, რომელზედაც გაშვებული კოჭები გამალებული ტრიალებდნენ.

— ეს რას ნიშნავს? — იკითხა უფროსმა.

გამგემ დაუძახა ზედამხედველს, ჩასძახა შიგ
და აჩვენა მანქანაზე.

— მანქანა არ მუშაობს — მოახსენა მან ინსპექტორს.

განაგრძეს გზა. დარწმუნდა რა, რომ ხიფათს გადარჩა, ჯონი მიუბრუნდა სამუშაოს, მაგრამ ცალ-ფეხას კი არ გაუღიმა ბედმა. ინსპექტორის მახვრელმა თვალმა შენიშნა ის, ტუჩებმა თრთოლა დაუწყეს, სახეს კი ისეთი გამომეტყველება მიეცა, თითქო დიდი და გამოუსწორებელი უბედურება დაატყდა თავსაო. ზედამხედველმა გაიკვირვა, თითქო პირველათ ხედავს ბიჭსო, გამგე კი უკმაყოფილოთ გამოიყურებოდა.

— მე ვიცნობ მაგას — სთქვა უფროსმა — თორმეტი წლისაა. ამ წლის განმავლობაში სამი ქარხნიდან გამოვაგდე, ეს მეოთხეა.

შემდეგ მიმართა ცალ-ფეხას:

— შენ მომეცი პატიოსანი სიტყვა, რომ სკოლაში ივლი. ცალ-ფეხას ცრემლები წასკდა.

— შემობრალეთ, ბატონო უფროსო, ორი ბავშვი მოგვიკვდა, ძალიან ღარიბები ვართ.

— რად გახველებს აგრე? — ისევ ჰკითხა ინსპექტორმა, თითქო დანაშაულობაში დაიჭირაო.

— ეს არაფერია, ბატონო, ამას წინათ გავცივდი და იმისია, გაივლის — დანაშაუვის კილოთი უპასუხა ცალ-ფეხამ.

ბოლოს ცალ-ფეხა უფროსთან ერთად გავიდა სახვევ განყოფილებიდან. მათ მიჰყვა გაჯავრებული და შეწუხებული გამგე. ისევ დაიწყო ერთ ფეროვანი, მოსაწყენი მუშაობა. გაიარა მოსაწყენმა დილამ. მას მიჰყვა უბოლოვო შუადღე და გაისმა საშაბაშო საყვირის ხმა. უკვე დაბინდებული იყო, როცა ჯონი ქარხნიდან ბრუნდებოდა. ჩამავალი მზის სხივებს ოქროს ფრათ შეედება დასავლეთის ცის კიდურა. ცოტაც და სულ გადაეშვებოდა მალალი სახლების სახურავებს იქით.

ვაზშამზე მთელი ოჯახი იყრიდა თავს. ეს ერთად ერთი დრო იყო დღის განმავლობაში, როდესაც ჯონი უმცროს დაძმებს ხედავდა. ამ უბრალო შეხვედრას არავითარი ცვლილება არ შესქონდა ჯონის ცხოვრებაში. ის ძალიან დიდი ხნისა სჩანდა ამათთან, დანარჩენები მეტის მეტი ბავ-



შები იყვენ. ჯონის გული მოსდიოდა და-ძმების მხიარულ და მალხაზ ქცევაზე. მისთვის გაუგებარი იყო ასეთი დროს გატარება. საკუთარი ბავშობა აღარ ახსოვდა. ის მოგავიწყებდათ მიზეზიან ბერიკაცს, რომელიც ვერ შერიგებია პატარაების კისკის-თამაშს. ჯონი უგდებდა ყურს ამ მისთვის არა სასიამოვნო ხმაურობას და იმით-ღა ნუგეშობდა, რომ დანარჩენებსაც ჩქარა მოუხდებოდათ სამუშაოთ წასვლა და დადინჯდებოდნენ, უფრო დარბაისელნი ვახდებოდნენ. როგორც ყველა ადამიანი, ჯონიც თავისი თვალ-საზომით ზომავდა და სჯიდა ქვეყანას.

როცა ვახშმათ ისხდნენ, დედამ მეთასე ჯერ გაიმეორა, რომ ის ზრუნავს ოჯახისთვის რამდენადაც კი შეუძლია. ჯონის კრინტი არ დაუძრავს. უნდა შეგეხებათ რა კმაყოფილება გამოიხატა მის სახეზე როცა ვახშამს მორჩა, და სუფრიდან წამოდგა, ცოტა ხანს შედგა, დაფიქრდა - საით წასულიყო: დასაძინებლათ თუ გარედ და ბოლოს უკანასკნელი არჩია. შორს არ წასულა. ჩამოჯდა კიბის ბოლო საფეხურზე, გაიშვირა მუხლები, წასწია წინ ვიწრო ბეჭები, დაიყუდა იდაყვები მუხლებზე და ნიკაპით ხელებს დაეყრდნო.

იჯდა ასე და არათერზე არ ფიქრობდა. ისვენებდა. მისი გონება არ მუშაობდა. ჯონის და-ძმებიც გამოვიდნენ გარეთ, შეერივნენ სხვა ბავშვებს და ჯონის შორი-ახლოს იწყეს თამაშობა. ელექტრონის სინათლეზე გარკვევით მოსჩანდნენ მათი ცოცხალი და მხიარული სახეები, ბავშვებმა იცოდნენ, რომ ჯონი მოწყენილი და გაბრაზებულია, მაგრამ მაინც უნდოდათ მისი გაღიზიანება. ხელებ-ჩაკიდებულნი, ხტუნვით უახლოვდებოდნენ ჯონის და დაცინვის კილოთი უმღერდნენ რაღაც სიმღერებს. ჯონი ჯერ წყევლა-კრულივით, რაც საკმაოთ შეისწავლა ზედამხედველებისაგან, იგერიებდა მათ. მერე გადასწყვიტა, რომ არა ღირს ბავშვებთან თავის გაყადრება და კიდევ უფრო მოიწყინა და დუმოილს მიეცა.

ჯონის ათი წლის ძმა უილი მეთაურობდა ამ აბეზარ ბავშვებს. ჯონი ვერ იყო ძმასთან კეთილ განწყობილებაში. მას თავის დაჩაგვრის მიზეზათ სთვლიდა. დარწმუნებული იყო, რომ უილი დიდათ დავალებულია მისგან და სწყინდა უილისაგან ამის დაუფასებლობა. ბავშობისას, თავის თავისუფალ

დროს უილის ანდომებდა. უილი მაშინ პატარა იყო, დედა, როგორც ახლა, ქარხანაში მუშაობდა და მთელი დღე სახლში არ იყო. ასე რომ დედობაც ჯონის უნდა გაეწია მისთვის.

ძმის მზრუნველობამ უილისთვის ტყუილ-უბრალოთ არ ჩაიარა. ის გამოვიდა კარგი ტანადი, ღონიერი და საღი. სიმალლით ჯონის არ ჩამოუვარდებოდა, სისრულით მეტიც იყო. ჯონი იყო დაჩაგრული, მუდამ მოწყენილი, დამცირებული, მაშინ როდესაც უმცროსი ძმა უილი იყო სიკოცხლითა და ძალით აღსავსე, ფხიზელი და გამჭრიახი.

ბიჭები განაგრძობდნენ ჯონის გამაბრაზებელ სიმღერებს. უილი ცეკვავდა, ბუქნავდა და ენას უყობდა. ჯონი მარცხენა ხელით სწევდა მას საყელოში და დაიჭირა. დამუჟა ძვალ-ტყავა ხელი და ცხვირთან მიუტანა. ეს მუშტი თავისთავათ დიდ არაფერს წარმოადგენდა, მაგრამ მისი მოხვედრა, ალბათ, მწარე იყო, რადგანაც ყოველთვის მწარე წივილ-კივილს ასტეხდა. ბავშვებმა მორთეს ყვირილი, ჯონის და—ჯენი კი ოთახისაკენ გაიქცა.

ჯონიმ ღონივრათ წაუბიძგა უილს, წააქცია, დასტაცა ხელი და ცხვირ-პირი ტალახში ჩაუფლა. გამოვარდა დედა გამწარებული და აღელვებული.

— რას ჩამციბია, რატომ არ მასვენებს?—მიუგო ჯონიმ დედის საყვედურზე—განა არ ხედავს, რომ დაღლილი ვარ?

— შენ ტოლა კიდეცა ვარ—წამოსძახა გაბრაზებულმა, ტალახში და სისხლში მოსვრილმა უილმა—აბა ნახე კიდევ რომ გავიზრდები, როგორა გცემ... უსათუოთ გცემ, აი ნახავ!..

— თუ დიდი ხარ შენც უნდა იარო სამუშაოთ—ბუზღუნით უთხრა ჯონიმ.—თუ სამართლია უნდა იმუშაო, დედა შენმა შენც უნდა დაგაყენოს საქმეზე.

— მართალია, მაგრამ უილი ხომ ჯერ კიდევ პატარაა—უთხრა დედამ ჯონის—ის სულ პატარა ბიჭია.

— მე უფრო პატარა ვიყავი, როცა მუშაობა დავიწყე. ჯონის კიდევ უნდა ეთქვა რამე იმ უსამართლობაზე, რანაირათაც მას ექცეოდნენ, მაგრამ გადაიფიქრა, გაჯავრებული



მობრუნდა და წავიდა დასაძინებლათ. მისი ოთახის კარი ღია იყო, რადგანაც ეს ოთახი სამზარეულოდან თბებოდა. როცა ჯონი ნახევრათ ბნელ ოთახში ტანს იხდიდა, მას შემოესმა დედის სიტყვები, რომელიც მეზობელ ქალს გულ-ამოსკვნილი ტირილით ელაპარაკებოდა.

— არ მესმის, რა მოუვიდა ჯონის—შემოესმა მას სამზარეულოდან.—წინათ არასოდეს არ ყოფილა ასეთი. ისეთი მშვიდი იყო, როგორც ანგელოზი.

— მინც კარგი ბავშვია დაუმატა ისევ დედამ—მუყაითათ მუშაობს. ღეთის წინაშე ძალიან ადრე კი დაიწყო მუშაობა, მაგრამ ჩემი ბრალი არ არის. სინდისს გეფიცებით, ჩემი ბრალი არ არი, რა ვქნა, ოჯახს უნდა გაუძღვე.

სამზარეულოდან კიდევ მოისმა ქვითინი. ჯონიმ დაუგდო ყური, დახუჭა თვალები და სთქვა თავისთვის: „ღიახ, მე ჩემი დღენი მუყაითათ ვმუშაობ.“

მეორე დილითაც ჩხუბით გააღვიძა დედამ ჯონი. შემდეგ ისევ მკირე საუზმე, ბნელაში სიარული, ამომავალი მზის მკრთალი სხივი, რომელსაც დანახვის უმაღლეს ზურგს აქცევდა ჯონი და ასე შედიოდა ქარხნის კარებში. ასე გადიოდა მისი ერთ ფეროვანი და ულაზათო დღეები.

მაგრამ ზოგჯერ ეს ერთფეროვნობაც ირღვეოდა—ეს მაშინ როცა ჯონი სამუშაოს იცვლიდა, ან ავით გახდებოდა. როცა ის ექვსი წლის იყო დედ-მამის მაგიერობას უწევდა უილოს და სხვა და-ძმებს. შვიდი წლისამ ქარხანაში დაიწყო მუშაობა—კოჭებს ახვევდა. როცა რვა წლისა გახდა სხვა ქარხანაში გადავიდა, სადაც მუშაობა ადვილი გამოდგა. უნდა მჯდარიყო ერთ ალაგას პატარა ჯოხით ხელში და ყური ეგდო მანქანისთვის, რომლიდანაც შეუწყვეტლათ გადმოდიოდა დამზადებული ტილო. ეს ტილო შემდეგ გაივლიდა ცხელ საჯანდრავს ქვეშ და მიდიოდა თავის დანიშნულ ალაგას. ქარხნის ამ განყოფილებაში დღის სინათლე ვერ ატანდა და გაზით განათებული იყო. მუდამ ერთ ალაგას მჯდომი ჯონი პატარა ჯოხით ხელში მანქანის მოძრაობისათვის აუცილებლათ საჭირო იყო.

თუმცა ამ განყოფილებაში ჰაერი სინესტიით იყო გაჟღენთილი, — ჯონი მინც ძალიან ბედნიერათ გრძნობ-



და თავს. ან კი რა გაეგებოდა! ჯერ ხომ ბავში იყო და ოცნების სამეფოში ნაწარდობდა. ის უცქეროდა ამ გაუთავებულ ტილოს და ახირებული აზრები მოსდიოდა თავში. ჯონის ამ გვარ შრომას არც ძალა და არც გონების ვარჯიშობა უნდებოდა. თან და თან აღარც ოცნებობდა, სანამ ბოლოს გონებამ სრულებით არ მიიძინა. ჯონი ოთხ მანეთამდე იღებდა კვირაში. ამითი არც შიმშილით მოკვდებოდა და არც გაძღომას იგრძნობდა, მაგრამ როცა ცხრა წლის შეიქნა სამუშაო დაჰკარგა, მიზეზი ის იყო, რომ წითელა შეხვდა. როცა მოკეთდა შუშის ქარხანაში იშოვა საქმე. ჯამაგირი მეტი ჰქონდა, მაგრამ საქმეც მეტ სიმარდეს თხოულობდა. სამუშაო იყო ნარდი, რამდენათაც უფრო ხელ-მარდათ მუშაობდა, იმდენათ მეტს იღებდა. ამის გამო იყო, რომ ჯონი შესანიშნავი მომუშავე შეიქნა.

ახალი სამუშაო ძალიან უბრალო იყო. შუშის პრობკები უნდა მიემა შუშებისავე ქიქებზე. ქამარზე ჩამოკიდული ჰქონდა ძაფის შულო. შუშებს ისე იწყობდა იატაკზე ფეხებთან, რომ ორივე ხელით შესძლებოდა მუშაობა. ასე მოკუნტული, ბეჭებში წახრილი, წელში გაუმართავათ მუშაობდა მთელი ათი საათის განმავლობაში დღეში. ეს საზიანო იყო ფილტვებისთვის, მაგრამ სამაგიეროთ დღეში ასწრობდა სამი ათას შუშის მომზადებას.

გამგეს თავი მოსწონდა ასეთი მუშით და ხშირათ მოიყვანდა ქარხანაში მოსულ სტუმრებს ჯონის სანახავათ. ჯონი მანქანასავით ჩქარა მუშაობდა. ის სხვას არაფერს აკეთებდა. თვითთელი მოძრაობა იმისი გამხმარი, წოწოლა თითებისა, იყო მარდი და სწორი. მთელი მისი ყურადღება და გულის ყური მიქცეული იყო მხოლოთ ამ სამუშაოზე. ამის წყალობით მალე მას ძარღვები აეშალა. დღისით დაჩვეული თითები ღამეც, ძილის დროსაც განაგრძობდენ თრთოლას და მოძრაობას. დღისით ხომ ერთი წამიც არა ჰქონდა მოსვენება. ფერი დაეკარგა, ხველამ უმატა, მალე ფილტვების ანთება გაუჩნდა და ადგილიც დაეკარგა.

მორჩა თუ არა მიუბრუნდა ისევ იმ ქარხანაში სადაც წინათ კოჭებს ახვევდა, მაგრამ ახლა უფრო კარგ სამუშაოზე



დააყენეს. ჯონი უკვე დახელოვნებული მუშა იყო. გაგზავნეს საქსოვ განყოფილებაში. ამის შემდეგ დიდ ხანს აღარავითარი ცვლილება არ მომხდარა.

მანქანები ახლა წინანდელზე ჩქარა მოძრაობდნენ, გონების მუშაობას ადგილი აღარ ჰქონდა. ჯონი ოცნებასაც გადაეჩვია. წინეთ ძალიან უყვარდა ოცნება. ერთხელ სიყვარულიც კი გამოსცადა; ეს იყო სულ პირველ ხანებში. შეუყვარდა ქარხნის გამგის ქალი, რომელიც მასზე ბევრით უფროსიც იყო და მხოლოდ შორიდან დაენახა რამდენიმე ჯერ. იმ ტილოზე, რომელიც თვალწინ გადადიოდა იხატებოდა მისი ბრწყინვალე მომავალი: ვითომ აკეთებდა შესანიშნავ ტილოებს, იგონებდა მანქანებს, ხდებოდა ქარხნის პატრონი და ბოლოს იკრავდა გულში შეყვარებულის სურათს.

მაგრამ ყველაფერი ეს იყო წინეთ, სანამ უდროვით მოხუცდებოდა და სიყვარულიც დაავიწყდებოდა. გამგეს ქალი გათხოვდა და წავიდა, ჯონის გონებამ და ოცნებამ სრულებით მიიძინეს. მიუხედავად ამისა მან ბევრი რამე გამოსცადა და ხშირათ მოიგონებდა წარსულს, ისე როგორც ხანში შესულები იგონებენ ცხოვრების იმ ხანას, როდესაც კუდიანები სწამდათ. ჯონის ასეთი რწმენა არასოდეს არ ჰქონია, მას სწამდა მხოლოდ სხივით მოსილი მომავალი, ის მომავალი, რომელიც წინეთ არა ერთხელ გამოეხატებოდა მის წინ სამუშაო ტილოზე.

გ. ლ—ძე.

(შემდეგი იქნება)





ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი პოეზია.

(1816—1845)



იმდინარე წლის 9 ღვინობისთვის შესრულდა 70 წელიწადი მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა ჩვენი სახელოვანი მგოსანი ნიკოლოზ ბარათაშვილი; უდროვით გამოეთხოვა იგი წუთისოფელს ჯერ კიდევ ახალ-გაზრდა—29 წლისა; სული დალია უცხო ცის ქვეშ, სამშობლოს მოცილებულმა, მეგობარ-ამხანაგს მოკლებულმა... *)

ნ. ბარათაშვილისთანა დიადი, ბუმბერაზი პიროვნებათაგანი იშვიათათ იბადებიან. როგორც მეტეორნი, ათასში ერთხელ თუ გამოჩნდებიან ამა თუ იმ ერის ლიტერატურის სფეროში. ინგლისში—ბაირონი, რუსეთში—ლერმონტოვი, ჩვენში ბარათაშვილი; აი ეს სულით მონათესავე მგოსნები განმარტოებით დგანან მსოფლიო ლიტერატურის კვარცხლობეკზე: კაცობრიობა ვერ დაივიწყებს როგორც ლ. ბაირონის „მსოფლიო სევდას“, ლერმონტოვის „აჯანყებულ სულს“, ისეც ბარათაშვილის „თავ-განწირულ სულის კვეთებას“. მართალია, ნიკოლოზ ბარათაშვილს ვერ იცნობს დღეს ევროპა და ვერც აფასებს, როგორც შეჭფერის დიად ნიქს, დიად შემოკმედებას. ეს მიტომ არის, რომ თვით ჩვენ სამშობლოს დღეს არ

*) ნამდვილი მისი სურათი აქომამდის არ მოიპოვებოდა. ეხლა აღმოჩნდა მისი სურათი მახლობელი მეგობრის მიხეილ თუმანიშვილის დახატული, რომელსაც შემდეგ ნომერში დავბეჭდავთ.

იცნობენ და მოკლებულნი არიან უცხოთა ყურადღებას. სულ სხვაა განათლებული და ძლიერი ინგლისი, ან უზარმაზარი რუსეთი. მაგრამ მოვა დრო გარემოება გამოიცვლება, სულ სხვა თვალთ შემოგვხედან და მეტის პატივით მოეპყრობიან ჩვენს ქვეყნის საუკეთესო შვილებსაც...

ლ. ბაირონი უპირველეს ყოვლისა ამაყი შვილი იყო თავისუფალ ქვეყნისა. მისი სამშობლო მალალ საფეხურზე მდგომი, განათლებული, ძლიერი და შეუპოვარი, რასაკვირველია წარმოშობდა ამაყსა და ლალს მგოსანს, ცხოველის ხასიათისა და თავისუფალ ოცნებით და ფანტაზიით გატაცებულს. ლერმონტოვის დრო რუსეთისთვის ამომავალ მზეთ მიიჩნევოდა და ამისთვის ლერმონტოვის მუზამაც თავისუფლათ გაშალა ფრთები. ბარათაშვილის დროს კი საქართველოს მზე ჩადიოდა, სიბნელის შავი აჩრდილი მგოსანს გულს უღრნიდა, უიმედობის მწუხარე სიმები მის სულს ძალზედ სჭიმავდა...

ნიკოლოზ ბარათაშვილი მაინც გედის სიმღერას უგალობდა ტურფა სამშობლოს; თვის გულში ნადებს ფიქრებს, ოცნებებს მელიოდიებით ასახიერებდა; მგოსანი „გულ-მოკლული კაცთა სიავით და ბედის ბრუნვით“ თავის სამშობლოს „სწირავდა გუნდრუკის წილ წმიდა სიყვარულს“ და ამავე დროს „საკურთხათ სდებდა გულსა და სულს“.

* * *

ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ ბევრი რამ თქმულა და დაწერილა, მაგრამ კიდევ უფრო მეტი უნდა დაიწეროს, რადგან დიადი ნიჭი, დიდ ახსნას, განმარტებას და თან დიდ კმათსაც უნდა იწვევდეს. ბაირონის, შექსპირის, გიოტეს და სხვა დიდებულ მწერალთა ნაწერების შესახებ ევროპაში მთელი ბიბლიოთეკები არსებობენ. მარტო შექსპირის შესახებ რამდენიმე ასი ტომი დაწერილა; გარჩეულია ყოველი მისი წინადადება, ცალკე სიტყვებიც კი... ასევე უნდა იყოს, ჩემო მკითხველო, ჩვენს ბედკარულ სამშობლოშიაც, მაგრამ ეჰ, ვინ იცის რამდენი დრო გაივლის, სანამ ჩვენ ქვეყანაშიც მოეფინება ასე უხვათ სწავლა-განათლების ცხოველ-მყოფელი სხივები. ამ სანატრელ დროს კი მოაახლოვებს ყოველი ჩვენგანის წრფელი მისწრაფება სწავლა-მეცნიერებისა-

კენ, მისწრაფება სამშობლოს კეთილ-დღეობასა და აყვავებისაკენ...

მაგრამ დაუბრუნდეთ ისევ ჩვენს ნიკოლოზ ბარათაშვილს, წარმოვიდგინოთ ის დრო, როდესაც სცხოვრობდა და ჰქმნიდა იგი უკვდავ ლექსებს, შევიტყუოთ, რა პირობებში უზღებოდა მგოსანს ფიქრი და მუშაობა და შემდეგ კი ვანიჭოთ თვით მისი პოეზია. ჯერ კი მგოსანის ბიოგრაფიულ მოკლე ცნობებს მოვიყვანთ.

ნიკოლოზ ბარათაშვილი დაიბადა 1816 წ. 22 გორგოზისთვის. მამა მისი მელიტონ ბარათაშვილი იყო, ნიქიერა კაცი, ამასთან მკაცრი, ფიცხლი და მტკიცე ხასიათისა. მელიტონს ძალიან უყვარდა სტუმრებთან ერთად ქეიფი და ხელ-გაშლილი ცხოვრება. მის ოჯახში ხშირათ დაიარებოდნენ მაშინდელი ცნობილი საზოგადო მოღვაწენი, როგორც პოეტი ალ. ჭავჭავაძე, მღვ. ეგნატე იოსელიანი, (მამა პლ. იოსელიანისა) გრ. ორბელიანი და სხვები. საზოგადოებაში პატივცემული მელიტონი, რამდენჯერმე იქნა ამორჩეული თბ. მაზრის მარშალთ. ხელ-გაშლილმა ცხოვრებამ კარკათ შეძლებული თავადი გააღარბა და სიბერის დროს უმწეო მდგომარეობაში ჩააგდო. ნიკოლოზის დედა ეფემია იყო და პოეტის გრ. ორბელიანისა. იგი, თავის დროის შესაფერათ, ქართული შწიგნობრობის კარგათ მცოდნე იყო; მეტათ გულ-კეთილი, სათნოიანი და წყნარი თავის პატარა ვაჟსაც უნერგავდა ამ კარგ თვისებებს. მართლაც ნიკო თავის ხასიათით დედას ძლიერ წააგავდა.

შვიდი წლის ტატოს (ასე ეძახდნენ სიყმაწვილეში მას) დედამ ქართული წერა-კითხვა დააწყებინა. 1827 წელს მიაბარეს კეთილ-შობილთა სასწავლებელში. ეს სასწავლებელი სამი წლის შემდეგ გიმნაზიათ გადაკეთდა.

კონსტანტინე მამაციშვილის მოწმობით, ტატო მეტათ კარგი საამხანაგო, ბუნებით ნიქიერი, მხიარული, ცელქი, დაუდებარი და თან ოხუნჯი ბავში იყო. სწავლით სამაგალითოთ სწავლობდა, მაგრამ მის ყოფა-ქცევას ყველა ემდურდა. თავისი მოუსვენრობის და სიცელქის გამო ტატო კიბიდან გადმოვარდა და ორივე ფეხი მოიმტვრია. ამის შემდეგ



იგი სამუდამოთ დაკოქლდა. ლექსების წერა მომავალმა მგოსანმა გიმნაზიაშივე დაიწყო. თავის ლექსებს ათავსებდა მოსწავლეების ხელთ-ნაწერ ჟურნალში, სახელათ „ЦѢТОКЪ ГИМНАЗИИ“.

გიმნაზიის გათავების შემდეგ ნიკოს სურვილი იყო სამხედრო სასწავლებელში შესვლა, რომ მომავალში ოფიცერი გამოსულიყო, მაგრამ სიკოქლემ ხელი შეუშალა; შემდეგ მოინდომა უნივერსიტეტში წასვლა, მაგრამ აქაც სიღარიბე გადაეღობა წინ; რომ უფრო ნათლათ წარმოვიდგინოთ ბარათაშვილის სურვილები და მისი მდგომარეობა საჭიროა გავიცნოთ თვით მისი წერილი, გრიგოლ ორბელიანთან მინაწერი 1837 წლ. თარიღით.

„უნდა აღვიარო, რომ არც პანსიონში ყოფნის დროს, когда будущность моя представлялась мнѣ въ радужныхъ мечтаніяхъ, და არც მერმე, ვიდრე სამსახურში შევიდოდი, სულ არ მომსვლია ფიქრათ სამოქალაქო სამსახური: ჩემი სურვილი იყო ჯარის-კაცობა, ეს აზრი განუყრელათ იყო ჩემთან და ახლაც ხანდისხან კიდევ შამომეპარება ხოლმე გულში. მაშ რაღამ დამიშალა, თუ კი ჩემი სურვილი იყო? აი რამ დამიშალა: ჩემმა მშობლებმა მიზეზათ ეს მომიდგეს, რომ კოქლი ხარო, და თუ არ „ინვალიდის კომანდაში“ სხვაგან არ მიგიღებენო, მაშინ, როდესაც ფეხი უკეთ მქონდა და კარგადაც მაქვს, ასე რომ ჩემებურათ კიდევ ვბტი და კიდევ ვცეკვაობ. მაგრამ რადგანაც შევიტყე უარი და მათი უსიამოვნობა, ვსთხოვე უნივერსიტეტში მაინც გაგზავნა, რომ თუ შტატსკი ვიყო, ვიყო... არც ეს შემისრულეს. უბედურებისა გამო, მამაც ამ დროს ავით შეიქნა, და ავთმყოფი, ჩემს თხოვნაზე ასე მეტყოდა: „შვილო, ხომ ხედავ შენი სახლის გარემოებასა, იქნება მე ველარც კი გავაწიო ამ სნეულებასაო, შენს სახლს არ უპატრონებო?“ ამის შემდეგ გული აღარ იყო, რომ კიდევ შემეწუხებინა მამაჩემი თხოვნით. დავრჩი ისევ ჩემს მამულში; განვწყსდი სამსახურში და დაეუმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა“.

ამ გვარათ მოსთქვამს და დასტირის თავის უნუგეშო მდგომარეობას პოეტი. მისი პირადი ცხოვრება იმ თავოთვე მგოსნისათვის არა სასურველათ მოეწყო და ბოლოს ხომ სა-

სოწარკვეთილებამდე მიიყვანა, აღარც სამხედრო სამსახური, აღარც უნივერსიტეტი, და ბოლოს დამორჩილდა ბედს, შევიდა მოხელეთ, თუმცა კარგათ იცოდა, რომ „Кругъ чиновниковъ не выгоденъ для образованія нравственно-сти“. თავისი სამსახური პოეტს არ აინტერესებდა, მას უფრო ფართო სარბიელი სწყუროდა, რომ გამოეჩინა თავისი ნიჭის ძალა; მიუხედავად ამისა მაინც საუკეთესო მოხელეთ ითვლებოდა...

ცხოვრებაში ბარათაშვილი მხიარულ კაცათ იყო მიჩნეული. მშვენივრათ უკრავდა თარს, ჩონგურს, მოხდენილათ ცეკვავდა ლეკურს, უყვარდა ოხუნჯობა, არშიყობა და ქორიკანობაც კი; ეს სიტყვა მოსწრებული და თან ენა-გესლიანი ყმაწვილი კაცი, საზოგადოებაში ყველას ყურადღებას იპყრობდა. მისმა სხვისადმი დაცინვამ დუელიც კი გამოიწვია მასა და ილ. ორბელიანის შორის, რომელსაც საბედნიეროთ, შედეგი არ მოჰყვა. ამავე დროს იგივე ნიკოლოზ ბარათაშვილი სულიერათ ყველაზე უფრო მეტათ იტანჯებოდა, სევდასა და უიმედობას განიცდიდა... ხშირათ მთვარიანს ღამეში, მარტოთ მარტო დადიოდა საფლავებ შორის. „ირგვლივ ღუმილი, მარტოობა, სამარისებური სიჩუმე, მთვარე მკრთალათ დაჰნათის საფლავებს, თითქოს ცხედრის წინ ჩასაქრობათ გამზადებული კანდელი... ნელათ მოღვლეავს მოღუდუნე მტკვარიც, თითქოს შიშობს სიჩუმე არ დავარღვიო ამ მოწყენილ ქვეყანაზეა“. (მისი წერილი 1838 წ.) აი როგორი სურათები იტაცებენ პოეტის სულს, აი სად გრძნობდა იგი მოსვენებას. ერთი მხრით—ქეაფი, დროს გატარება, მეორე მხრით—სევდა, ნაღველი; ერთი მხრით—ხუმრობა, არშიყობა, ოხუნჯობა, მეორე მხრით—ფიქრი და ფიქრი დაუსრულებელი ცხოვრების ამაოების შესახებ. „ბარათაშვილში თითქოს სამი ადამიანი მოქმედებდა“, გვეუბნება ბ-ნი მიხეილ თუმანიშვილი *) თავის „მოგონებაში“, იგი ერთსა და იმავე დროს იყო

*) მიხეილ თუმანიშვილი, მამა გიორგი თუმანიშვილისა და ანასტასია წერეთლისა, იყო ერთი საუკეთესო და მახლობელი მეგობარი ნიკოლოზ ბარათაშვილისა.



არამც თუ მარტო მხიარული კაცი, საშინელი მიზანტრონიც, და ამასთანავე საქმიანი მოხელეცა“.

უმეტესი დრო ბარათაშვილმა კანცელარიას სამსახურში გაატარა. მხოლოდ 1844 წელს დანიშნეს მაზრის უფროსის თანაშემწეთ ნახჩევანში. საშობლოს მოცილებამ და მიყრუებულ კუთხეში გადახვეწამ კიდევ უფრო მეტი მწუხარება მიაცენა მგოსანს; მან დაიწყო მაცადინობა, რათა თელავში გადაეყვანათ, მაგრამ ბედმა აქაც უმტყუნა. სრულიათ მოულოდნელათ იმავე თანამდებობაზე იგი განჯაში გადაიყვანეს. ბარათაშვილმა აქ რამდენიმე თვეს იცოცხლა და 9 ღვინობისთვის 1845 წელს სამუდამოთ გამოეთხოვა წუთისოფელს. 29 წლის ახალგაზრდამ, ბუნებით უხვათ დაჯილდოვებულმა მგოსნური შემოქმედებით, უცხო მხარეში დალია სული და ამნაირათ აღსრულდა მისივე სიტყვები:

„მოკვდები ვერ ვნახავ ცრემლსა მე შშობლიურს,
მის ნაცვლათ ცა ლურჯი დამაფრქვევს ცვარს ციურს“-ო.

ნიკოლოზ ბარათაშვილი განჯაშივე დაასაფლავეს, ერთ უბრალო საყდრის გალავანში. მგოსნის სიკვდილი შშობლებსა და ნათესავებს გარდა, ბევრმა სხვა ქართველმაც მწარეთ იგრძნო. აი რასა სწერს ლევან მელიქიშვილი პოეტ გრ. ორბელიანს 19 იანვარს 1846 წ. ბარათაშვილის სიკვდილის გამო:

„მარტო მე არ დამაკარგავს ეს დასაკარგი, საქართველომ დაჰკარგა იმაში კაცი, რომელსაც იგი უყვარდა მთელის პოეტურის გულით, და რომელიც ამ სიყვარულს ყველა თავის მოვალეობაზე მალლა აყენებდა; ახალ-გაზრდა კაცი, სავსე მშვენიერის ბრწყინვალე ნიჭით, რომლისაგანაც იგი გამოელოდა მეტს, ვიდრე რომელსამე სხვა ახლანდელის თავის ახალ-გაზრდა შვილისაგან.

შშობლებმა დაჰკარგეს იმაში თავიანთი მოხუცებულობის და მთელის ოჯახის ბურჯი, ნათესავებმა კეთილი ნათესავი, ქართველებმა ერთი საუკეთესო თანამემამულეთაგანი“. მაგრამ ბარათაშვილის აპოთეოზი მომავალს ეკუთვნოდა, მისი დიდება და სახელი მომავალში იყო...

თუმცა დიდი იყო სიყვარული და პატივისცემა თანამედროვეთაგან, თუმცა სულ რაღაც ხუთიოდ დღეში 17 ქართველმა 1000 მანეთი გამოიღო ბარათაშვილის ნაწერების შე-

საკრებათ და გამოსაცემათ, მაგრამ მაინც ვერ შესძლეს ხორციელება ამ აზრისა და საჭირო იყო კიდევ მთელი 30 წელიწადი, რომ მის ნაწერებს გამოცემა ღირებოდა, საჭირო იყო მთელი 48 წელიწადი, რომ დიდებული ნეშტი დიდებულ პოეტისა სამშობლოს დაბრუნებოდა...

საინტერესოა რუსების ნიქიერი კრიტიკოსის ბელინსკის აზრი ბარათაშვილის—თანა დიად პიროვნებათა შესახებ:

„არიან ორგვარი მოღვაწენი ყოველგვარ სარბიელზე, ამბობს ბელინსკი, ერთნი თავისის მოღვაწეობით ჰქმნიან ახალ ეპოქას და მოღვაწეობენ უფრო მომავლისათვის; მეორენი მოქმედებენ მარტოოდენ აწმყოზე და მუშაობენ აწმყოსათვის. პირველთ ვერ სცნობენ, ვერ აფასებენ თანამედროვენი, არა სწამთ რა მათი, ხშირათ სდევნიან კიდევ, ჰკიცხავენ, ჰგმობენ, მაგრამ სამაგიეროთ მათი აპოთეოზი მომავალს ეკუთვნის, იმ დროს, როდესაც მათი ძვლები დამიწებულნი და გახრწნილნი არიან სამარეში...“

უეჭველია ამ გვარი მოღვაწენი მალლა დგანან, რადგან ისინი დიადი პიროვნებანი არიან, გენიოსები; და თუ ამ გვარი პირები მოღვაწეობენ სალიტერატურო ასპარეზზე, კიდევ უტოვებენ შთამბავლობას სამარადისო, უქცნობელ ნაწარმოებთა. ქეშმარიტათ, ბარათაშვილიც ამ გენიოსთა ჯგუფს ეკუთვნის, რომელმაც უანდერძა შთამბავლობას „ხელის ხელ საგოგმანებელი მარგალიტები“ თავის პატარა ლექსთა კრებულის სახით. და ბარათაშვილის ძვლებიც ხომ უკვე გახრწნილი და დამიწებული იყო, როდესაც მადლიერი ქართველი ერი, ეროვნული თვით შეგნებით აღსავეს, მიუახლოვდა მოწიწებით ბარათაშვილის სამარეს, მუხლთ მოიყარა, თაყვანი სცა ძვირფას ნეშტს და დიდის ამბით ორმოცდა რვა წლის შემდეგ დაუბრუნა სამშობლო მიწას ის, ვის გულშიაც მუდამ ღვიოდა ღვთიური ცეცხლი გენიოსობისა.

ნ. ბარათაშვილი—ეს ობოლი ვარსკვლავია, განმარტოებით ჩვენის ლიტერატურის ტატნობზე მოციმციმე, რომელიც მოსწყდა უდროვოთ და გაჰქრა საწუთრო ამაოებაში; მაგრამ არა, ბარათაშვილის სახელი, მისი მგონსური შემოქმედება, მისი „შავათ მღელვარე ფიქრები“ აქვე დარჩნენ, ვითა „ლამპარი მაათ გაუქრობელი“.



* * *

ნ. ბარათაშვილი სევდის გამომხატველი მგოსანია; როგორც აღენიშნეთ მისი პირადი ცხოვრება სასურველათ არ მოეწყო; მაგრამ არა მარტო პირადმა უკმაყოფილებამ დაასვა სევდის ბეჭედი ბარათაშვილის შემოქმედებას:

სამშობლო ქვეყნის უმწეო მდგომარეობას, პოლიტიკურ თავისუფლების დაკარგვას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა პოეტის ნაზ ბუნებაზედ და ამისთვის საჭიროა გავითვალისწინოთ იმ დროის მდგომარეობა, როცა ბარათაშვილი ცხოვრობდა.

საქართველოს ისტორიის ფურცლებზე აღბეჭდილია არა ერთი და ორი საუკეთესო ხანა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისა, ის ხანა, როდესაც ქართველები სტკბებოდნენ თავისუფალ ცხოვრებით, როდესაც დულდა სიცოცხლე, იფურჩქნებოდა კულტურა, ჰყვავოდა ლიტერატურა, იზრდებოდა ქონება და გონება ჩვენი ერისა, მაგრამ სამწუხაროთ, ათასჯერ უფრო მეტი მწუხარებისა და გლოვის დღეები გამოუვლია ქართველობას, უნახავს კირი, უბედურობა, სასოწარკვეთილება. საქართველო მუდამ გზათ იყო გადაქცეული აზიიდან გამოსულ ველურ ურდოებისათვის ევროპაში წასასვლელათ. ამისათვის, ჯერ ქართველები უნდა შეემუსრათ, გაენადგურებიათ, შემდეგ ან აქვე დარჩენილიყვენ, ან წასულიყვენ ევროპისაკენ.

ქართველებს რომ ბუნებრივი სიმაგრეები არა ჰქონოდათ, ვინ იცის ახლა მათი ხსენებაც აღარ იქნებოდა; მოვიდოდა თუ არა მტერი, ქართველებიც იხიზნებოდნენ მიუვალ მთებში, კოშკ-დარბაზებში, და შემდეგ მტრის წასვლისას, უბრუნდებოდნენ გადამწვარსა და გაოხრებულ სახლ-კარს. რაღაც ღვთის განგებით ერი, დამარცხებულ-განადგურებული ისევ აღდგებოდა და მტერს თვალებს უყენებდა. უძველეს დროიდან მე XIX საუკუნის კარამდე ეს მუდმივი ბრძოლა, „ყოფნა—არ ყოფნისათვის“ ახასიათებს ჩვენს ისტორიას. თუ რა შესძლებია ჩვენს ერს, თუ კი მას ცოტა ხნით მაინც ღირსებია თავისუფლება, გვიმტკიცებს ეგრედ წოდებული „ოქროს ხანა“, როდესაც აღმოაბრწყინდა საკაცობრიო მგოსანი რუსთაველი, რომლის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“ — ნამდვილი გვირგვი-

ნია პოეზიისა, გენიოსობის უქცნობ ფურცლებით შეკონი-
ლი.

საქართველო ბევრჯერ შეღებილა მტერთა თუ მკვიდრ-
თა სისხლით, მაგრამ „ქართველებს არათ შიამნდათ უბედურე-
ბა“, რადგან „ჰქონდათ თვის ჰერო ჭვეშ თავისუფლება“...
ბოლოს კი ისე დაიქანცა ჩვენი ერი, რომ ველარ შესძლო
გამუდმებული ბრძოლა და არჩია, რომელიმე სახელმწიფოს
შეკედლებოდა და ამით ეხსნა თავი დაღუპვისაგან. ჯერ ისევ
მე XVI საუკუნიდან დაიწყო საქართველოს დაახლოვება რუ-
სეთთან, როგორც ერთ მორწმუნე სახელმწიფოსთან. საქართ-
ველოს რუსეთისაკენ მიდრეკილება არ მოსწონდათ ჩვენ მე-
ზობელ სახელმწიფოებს: სპარსეთსა და ოსმალეთს. მათ სურ-
დათ ცეცხლითა და მანვილით ამოეთხვრათ ქართველებში აზ-
რი რუსეთთან დაახლოვებისა. სპარსელებმა და ოსმალებმა
იციოდნენ წინდაწინვე, რომ თუ რუსეთი საქართველოში ფეხს
მოიკიდებდა, მათ ბატონობასაც ბოლო მოეღებოდა კავკასია-
ში; ამას გარდა რუსეთი, როგორც ძლიერი სახელმწიფო მათ
სამზღვრებისაკენაც გაიწვედა. მათი წინა გრძნობა გამართლდა,
მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ჩვენი სამშობლო ორ აქ-
ლემს შუა კოზაკივით იქყლიტებოდა. საკმარისია მოვიგონოთ
პეტრე დიდის მიერ ქართველი მეფისაგან დახმარების თხოვნა
სპარსეთის წინააღმდეგ, შემდეგ უეცრათ მათი შერიგება, და
სპარსელებისაგან საქართველოს აოხრება რუსეთის მიმბრობი-
სათვის. ამ უბედურობაში გაატარა დრო საქართველომ მეთვ-
რამეტე საუკუნის დასასრულამდე. 1801 წელს საქართველო
ოფიციალურათ რუსეთს შეუერთდა.

დიდის ამბით შეეგება რუსის ჯარს ქართველი ხალხი აქ,
თფილისში; მთელ თავის იმედებს რუსეთის მფარველობაზე
ამყარებდა. ამ დღიდან ახალი ხანა იწყება ჩვენს ცხოვრებაში.
ქართველებს იმედი სავსებით არ გაუმართლდათ, „ვანის გაე-
ყარენ“ და „ვუის კი შეეყარენ“. სტუმრებს ისე მოეწონათ
ჩვენი ქვეყანა, რომ მასპინძლობა მოისურვეს.

ამნაირი საქციელი სტუმრებისა არც ქართველებს მოე-
წონათ და ეგონათ აჯანყებითა და შეთქმულობით საქმეს გა-
მოაკეთებდნენ, მაგრამ ყველაფერი გვიანდა იყო. ქართველთა
ბედი გადაწყვეტილი აღმოჩნდა.



დასქნა მდებოდა საქართველოსი, ბურუსმა მოიცვა სამშობლოს მთები; იქ სადაც სიცოცხლე სდებდა და გადმოდიოდა შრავალ საუკუნეთა განმავლობაში, სადაც ისმოდა მზიარული თუ ნაღვლიანი სიმღერა, ან კიჲინა გმირობისა და ვაჟ-კაცობისა, იქ ეხლა თითქოს ფრთებ შეკვეცილებმა ხმა ჩაიკმინდეს, მოღუნდა ცხოვრებას მარჯა და უიმედობა გამეფდა. ხანდახან, ათასში ერთხელ თუ გაიგონებდა კაცი მთვარისანს ღამეში ქართველის გულის მომკვლელსა და ნაღვლიანს „ოროველას“, ან „მუმლი მუხასა“, რომელშიაც გამოიხატებოდა მთელი საქართველოს კვნესა გოდება...

თვით მტკვარი, ეს უტყუარი მოწამე საქართველოს აღდგენისა, აყვავებისა და ბოლოს კი დაცემისა, მწუხარეთ, სევდიანათ მოდუღუნებდა, თითქოს ბანს აძლევდა საქართველოს მოთქმასა და ტრირის.

„და ეს ქვეყანა, ხმელეთის თვალი, დიდი სამოთხის პატარა კუთხე“, გავერანდა, გატიალდა, უიმედობამ წელში გახარა, ძირს დაეშვა და მოიდრიკა ამაყი ქელი შავი ბედის წინ...

და სწორედ ამ სევდიანს, კაემნიანს და დაფიქრებულ საქართველოში გაისმა ნაღვლიანი ხმა წკრილა ჩონგურისა. თითქოს მწუხარე ბუნებამ თვით გააბა მთრთოლოვარე სიმები მაგიურს ჩანგზე, ხოლო ამ სიმებში კი ჩააწნა თავისი სევდავარამი, დარდი და მწუხარება და გადასცა ზეგარდმო ნიქით დაჯილდოვებულს მგოსანს ნიკოლოზ ბარათაშვილს. რომ ამ საერთო გლოვის დროს მგოსანს მზიარულათ ექლერებინა ჩანგი, ეს ხომ შეუძლებელი იქნებოდა ამ საერთო, სამგლოვიარო დროში. ან კი „ვით ეთქვა მგოსანს ავდრისთვის, მზის შესაფერი ქებანი?“

სავალალო და სამწუხარო ის უფრო იყო, რომ ქართველები ზნეობრივთაც ჩამოქვეითდნ და ეს კი იყო, პირდაპირი შედეგი სამშობლოს თავისუფლების დაკარგვისა.

„ვინც ზალალის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო, გვეუბნება ბარათაშვილი თავის დროის ქართველების შესახებ; „ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია, ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიქათ, მას არცა თუ განსჯა ჰქონია; ვისიცა კრემლნი მეგონებოდნ

ცრემლათ სიბრალულისა, გამომეტყველათ მშვენიერის სული-
 სა, თურმე ყოფილან ნიშანი ცბიერებისა, წვეთნი საშინე-
 ლის საწამლავისა' სად განისვენოს სულმა, სად მიიღრიკო
 თავი?*" კითხულობს სასოწარკვეთილი მგოსანი და რაღა გა-
 საკვირია, თუ ამის შემდეგ უიმედობის სევდამ მოიცვა პოე-
 ტის გული.

„საკვირველია, რომ ქართველ კაცს, როდენიც დიდე-
 ბული და ძლიერი უნდა შეიქმნეს, არა აქვს შორს მხედვე-
 ლობაო“, გვეუბნება ბარათაშვილი სინანულით მეორე წე-
 რილში. „განა ქართველებში არის მეგობრული და ნათესა-
 ვებრი გრძნობა? აი სამი თვეა აქა ვარ და ძალღათაც არავინ
 მახსენებს“ — გულ მოკლული სწერს ბარათაშვილი თავის დას
 მიაკოს. (1845 წ.) აი, როგორც ვხედავთ რამდენ მიზეზებს
 ჰქონდა გავლენა მგოსნის ნაზ ბუნებაზე: პირადი მწუხარება —
 სურვილთა აუსრულებლობის გამო, საქართველოს პოლიტ-
 კური თავისუფლების დაკარგვა და ამის მიზეზით კი ერის
 ზნეობრივით ჩამოქვეითება. მაგრამ ამას უნდა დავუმატოთ ერ-
 თი ვარემოება: ბარათაშვილი, როგორც ნიჭიერი და გონე-
 ბა გახსნილი კაცი უთუოთ კარგათ, ზედ მიწვევით იცნობდა
 ბაირონისა და ლერმონტოვის ნაწარმოებთ. „გულს გული
 იცნობსო“, და სწორეთ ბარათაშვილის დამწვეარ გულს ჰარ-
 მონიათ მოველინებოდა ამ ორი სევდიანი მგოსნის თხზულე-
 ბათა მწუხარ ჰანგებს. ბარათაშვილის სულიერი ნათესაობა
 ბაირონთან და ლერმონტოვთან უფრო გამოაშკარავდება, თუ
 ორიოდე სიტყვით მაინც შევეცებით ამ ორი გამოჩენილი
 მგოსნის შემოქმედებას

ლორდ ბაირონი ინგლისის უდიდესი მგოსანია. დიდება
 და სახელი მგოსანთა მეფემ მოიპოვა *) ჩაილდ ჰაროლდით.

*) ლორდ ბაირონი დაიბადა 1788 წელს. პირადი ცხოვრება ბაი-
 რონისა ძალიან ცუდათ მოეწყო. ერთ თავის პესიმიზმით გამსჭვალულ
 ლექსში სახელდობრ „გამოსალმებაში“ იგი გვიხატავს თავის სულის
 კვეთებას: მგოსანი ეწვეილობება სატროს და მიჰმართავს:

„ჩვენ დიდის ხნითა ვეთხოვებით ერთი მეორეს,
 ურცხვს ცხოვრებაში სიყვარულზე რაღა გვეთქმება,
 უბრალო მონათ უნდა დარჩე აქ გულის სწორო,
 და მე? უღელი მონობისა მულამ ედგმება.“



თავის შესანიშნავ ნაწერებში „კაინსა“ და „მამფრედში“ იგი ეხება მსოფლიო კითხვებს. პესიმიზმი ბაირონის ნაწერების დამახასიათებელ თვისებას შეადგენს: „მსოფლიო სევდაზე“ დამყარებული მისი შემოქმედება, სასოწარკვეთილება, უიმედობა ცხოვრებაში, უარყოფა თანამედროვე კულტურისა, ზიზღი და სიძულვილი საზოგადოებისა; აი უმთავრესი მოტივები ბაირონის პოეზიისა. ამასთანავე ბაირონმა შექმნა „კულტი ძლიე-

და შენ იქნება საპყრობილეთ არ გეჩვენება
სივრცე მინდორთა, სივრცე ველთა ჩვენის მამულის,
მე კი არ ძალმიძს, მეგობარო, ვზიდო ჯაჭვები,
შემბოჭი აზრის, შემხუთავი სულის და გულის.
მომავალისა აღარა მრწამს კვალათ მის შემდეგ,
რაც რომ დამემსხვრა იმედების წმიდა ტაძარი,
ირველივ დაბნელდა... და მას აქეთ ჰაერიც კი
მშობელი ქვეყნის შემხუთავი, მტანჯავი არი!
აჰა, გიქცერ რა მაგ წყნარსა და მშვიდსა თვალეებში,
შეუძლებლობის სირცხვილითა ვაწვი, ვიტანჯვი,
აი დავეცი... უკუ ვიქვეც ბრძოლის ველიდან,
მე ლაჩარი ვარ... აწ შორს მივალ, შორს მივისწრაფვი.
ახე მშვიდობით, და ამ ძნელს და მწარე წუთებში
მომეცი ხელი ვით წესია კარგს მეგობრების!
მე დავბრუნდები, როს ტანჯვა გულის დამიწყნარდება,
როს სამშობლოსთვის დაჰკრავს წუთი თავისუფლების“.

როგორც ვხედავთ პოეტი გაურბის მონობას, მას ველთა და მინდორთა სივრცეც საპყრობილეთ ეჩვენება, მისი სული უფრო ფართო სარბიელს თხოულობს; მომავალის აღარა სწამს, რწმენის ტაძარიც დანგრევი და ახლა შორს მიდის, შორისაკენ მიისწრაფის. და ბარათაშვილიც ხომ ეძებდა „თვით რწმენის ტაძარს“, ბარათაშვილსაც სურდა დაენთო ლამპარი, მაგრამ „ველარ აღმიგო სიყვარულმა კვალათ ტაძარი, ვერსად აღვანთე დაშთამილი მისი ლამპარიო“, მოსთქვამს პოეტი. ბაირონის სულის სიდიადე—დიდმა ინგლისსაც ვერ დაიტია; მას სურდა თვის ტანჯვათა დასაწყნარებლათ სამშობლოს გარეთ ველა „მწირსა“ და „მიუხაფარს“. და მართლაც 1816 წელს (იმ წელს, როცა ბარათაშვილი დაიბადა) ბაირონი სამუდამოთ გამოეთხოვა ინგლისს, საყვარელ სამშობლოს და იწყო ცხოვრება ვეროპის სხვა და სხვა სახელმწიფოებში, უმეტეს ნაწილათ ტურთა იტალიაში. ვერც აქ მოისვენა ბაირონმა და გაეშურა საბერძნეთის განმათავისუფლებელ ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებათ. ამ საქმეს შეაღია თავისი საცხოვრებელი. იგი გარდაიცვალა საბერძნეთში, 36 წლისა 1824 წელს.

რი პიროვნებისა“. მისი გმირები აღჭურვილნი არიან უღრე-
კი და ძლიერი ნების ყოფით, რომელთაც სწამთ, რომ მათი
ტიტანიური სიამაყე დაჩრდილავს, დაიმონებს ყოველგვარ
დამბრკოლებას. თითქმის ყველა გმირები ბაირონისა მისწრა-
ფიან განუსაზღვრელ თავისუფლებისაკენ და მალლიდან დასც-
ქერიან უბრალო მომაკვდავთ... რასაკვირველია მათი ფიქრე-
ბი—ბაირონის ფიქრებია, მათი მისწრაფებანი—ავტორის სა-
კუთრებას წარმოადგენენ, მათი ძლიერი ნების ყოფა—შემომ-
ქმედ ბაირონის სულის თვისებაა—მათი მსოფლიო სევდა—
ბაირონის ბავთავან წამოსროლილი სევდაა და აკი ბაირო-
ნიც ბუმბერაზი და ამაყი მსოფლიო ლიტერატურაში განმარ-
ტოებით სდგას და მხოლოდ ლერმონტოვისთანა და ბარათა-
შვილისთანა ნიჭიერი მგოსნები თუ მიუახლოვდებიან...


დიდებულმა, თავისუფლების მოყვარულმა ერმა ინგლი-
სისამ, წარწოშვა დიდებული, ამაყი და თავისუფლების მოტრ-
ფიალე მგოსანი.

რუსეთში ბაირონის საუკეთესო მიმდევართ, მისი აზრე-
ბის უნიჭიერეს გამოძახტველათ მ. ლერმონტოვი ითვლება.
ლერმონტოვმა ლექსების წერა 14 წლისამ დაიწყო. უდრო-
ვო სიკვდილმა არ დააცალა გაფურჩქნულიყო მისი ნიჭი, მის
შემოქმედების ძალას გაეკაფა გზა.

ლერმონტოვის ნაწერებს ბაირონის ზედ გავლენა ეტყო-
ბა. „დემონი“ და „მწირი“—ეს ორი საუკეთესო ყვაილი
ლერმონტოვის შემოქმედებისა ბაირონის ზე გავლენითაა აღ-
მოცუნებული. ლერმონტოვის გმირებიც ბაირონის გმირებსა
ჰგვანან: იგივე სიმტკიცე და სიცხოველე ხასიათისა, მისწრა-
ფება ბრძოლისა და მოქმედებისაკენ. უშიშრობა და თან სია-
მაყე—აი დამახასიათებელი თვისებები ლერმონტოვის გმირე-
ბისა. მწირი, მაგალითად ბრძოლის წყურვილითაა გაქლენთი-
ლი. მას სძავს, ეჯავრება ერთფეროვანი, მყუდრო ცხოვრება
მონასტრისა. ჭექა-ქუხილი, ელვა-მეხი—აი სტიქია მწირის
ბუნებისა, რადგან იგი ნათესაობასა გრძნობს ჭექა-ქუხილსა
და თავის მღელვარე გულის შორის—მას სურს ხელში ჩაიჭი-
როს თვით ელვაც კი...

ლირიკა ლერმონტოვისა სევდითაა გამსჭვალული. სუ-
ლიერი ტანჯვა, უსასოობა, სულით ობლობა—აი უმთავრესი
თვისებები ლერმონტოვის ლირიკისა, რომლითაც უნათესავ-
დება ჩვენს ბარათაშვილს.

(შემდეგი იქნება)



ქართული
ბიბლიოთეკა

მორიელის უცნაური ჩვეულება.



ერთი გამოჩენილი ბუნების მეტყველი კიარელი, რომელსაც დიდძალი კოლექცია აქვს შეგროვილი ცხელი ქვეყნის მწერებისა საკვირველ ცნობებს გვაძლევს მორიელის ცხოვრებიდან.

კარგათ იცით, რომ მორიელები მეტათ გაუმადლარნი და მეტათ საშიშარი ცხოველები არიან არა თუ მწერებთათვის ხშირათ ადამიანისათვისაც კი, სიბოროტე და გაუმადლობა იმდენათ ძლიერია მორიელებში, რომ ისინი ხშირათ დაერევნიან თავის მონათესავე უღონო მორიელებს და სკამენ მათ. ამ გვარი მოვლენა მეტათ იშვიათია სხვა ცხოველებთა შორის.

დედალი მორიელი რომ შეილებს შობს იმ დრომდე ატარებს მათ ზურგზე, სანამ პატარები თავის თავის გამოკვებას შეიძლებენ. ერთხელ მეცნიერმა კიარელმა დედალი მორიელი დაიჭირა და მოათავსა კოლოფში. რამდენიმე დღის შემდეგ მორიელმა შობა შეილები. პატარები დედის ზურგზე შეცოცდნენ და იქ მოიკალათეს.

მეცნიერმა მოინდომა დედა მორიელის გადაყვანა მეორე კოლოფში; შეეხო თუ არა ხელით დედას შეილები დაფთხენ, გადმოცვივდნენ დედის ზურგიდან, აქეთ იქით გაიფანტნენ, ამ დროს დედა დაფაცურდა, გამოუდგა შეილებს და რამდენიც დაიჭირა იმდენი შექამა. რომ ყველა შეილები არ შექამა მეცნიერმა დედა მორიელი აიყვანა, ჩასვა ქიქაში და საწამლაღი დაასხა. დედა მოკვდა, მაგრამ თავისი მსხვერპლი — შეილი, რომლის შექმას უპირებდა — არ გაუშვა: ისევ ისე მაგრა ჩაქიდებული ჰქონდა თავისი საშინელი მარწუხები.

მეორეთ ამვე მეცნიერმა დაიჭირა ორი მორიელი, ერთი დიდი - ღონიერი, მეორე კი მომკრულ-უღონო. ესენი ერთ ქიქაში მოათავსა, რამდენიმე დღის შემდეგ მორიელმა რომ ღონიერი უღონოს სკამდა და შექამა კვლავ, გარდა მხამიანი კულისა.





მიიღება ხელის მოწერა 1916 წლისათვის
ყოველდღიური სახალხო და სალიტერატურო გაზეთი

სახალხო ფურცელი

გამოვა იმავე პროგრამით, როგორც 1915 წელს გამოდიოდა.
 გაზეთის ფასი დამატებიანთ: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 9 მან. 50 კ., საზღვარ-გარედ 15 მ.
 ნახევარი წლით ტფილისში 5 მან. საზღვარ-გარედ 8 მ. ერთი თვით ტფილისში 90 კ., საზღვრ გარედ 1 მან. 50 კაპ.
 ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

წლიური ხელის მომწერნი, რომლებიც 1 აფრილიამდე სრულვდ გადაიხდიან წლიურ ფასს, მიიღებენ ბრემიას ორიგინალურ თხზულებას თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ და ეროვნულ მდგომარეობის შესახებ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო ფურცლის“ კანტორაში, სასახლის ქ. სარაჯიშვილის სახლი და წერაკითხვ. საზოგადოების წიგნის მალაზიაში
 ფოსტის ადრესი: Тифлисъ, груз. газ. „САХАЛХО ПУРЦЕЛИ“
 почтовыщикъ 190

Открыта подписка на 1915 годъ
НА ГАЗЕТУ

„Закавказская Рѣчь“

(Годъ изданія седмой).

Подписная цѣна

| Съ доставкой на домъ: | Въ Тифлисъ. | Въ провинціи. |
|-----------------------|----------------|---------------|
| На годъ | 6 руб. — коп. | 8 руб |
| „ полгода | 3 руб. 50 коп. | 4 руб—50коп. |
| „ 3 мѣсяца | 2 руб. — коп. | 2 руб 25 коп. |
| „ 1 мѣсяць | — 75 коп. | — 75 коп. |

Отдѣльный номеръ 5 коп.

АДРЕСЪ: Тифлисъ, редакція газ. „Закавказская Рѣчь“, Дворцова, ул. д. Сараджева. Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь“.

Редакторъ К. Тумановъ Издатель Э. З. Горделадзе

ჯეჯილი



საუქმწვი ო ნახატებიანი ჟურნალი
ოცდა მუშვილად წალიწადი.

ჟეჯილი დაარსებულია 1890 წელს.

გამოვა 1916 წ. თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილება, ჰატარებისათვის და მოწრდილთათვის. ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში ედირება 4 მან., ქალაქ გურეთ (გავზავნით) 5 მან.

ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში — «ჯეჯილის» რედაქციაში, (არტილერიის ქუჩა, № 5.)

ფოსტის აღრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“

მიიღება ხალის მოწერა 1916 წ.

ყოველ-დღიური სალიტერატურო, საეკონომიო და საპოლიტიკო გაზეთი

„სამართველო“

უპრემიოდ — ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ღირს 8 მან. 50 კ. პრემიით გაზეთი წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 10 მან. ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანება.

პრემიები: 1) სალიტერატურო კრებული „მერანი“, გამოვა სამ თვეში ერთხელ დასურათებული. 2) „საქართველოს“ ბიბლიოთეკა „ჩვენი მრწამსი“, წიგნაკებათ. 3) საქართველოს ეროვნულ-პოლიტკური დიდი რუქა.

ფულის გამოგზავნა და ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში ქ თბილისი, მოხკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილისა № 4. ფოსტის ყუთი 76. (Тифлисъ Московская ул. домъ Габаева № 4, почтовый ящикъ № 76). და წერაკ-ითავის საზოგადოებაში.